სარჯიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 10 თებერვალი 2000 №23 (1045) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ესკობარის მკვლელობის საიდუმლო გაირკვა

დანაშაულიდან ექვსი წლის შემდეგ სასამართლომ ჭეშმარიტება დაადგინა

1 რატომ არის წაგება კარგი?

რომ ამბობენ, ინგლისელი გულშემატკივრები ყველაზე აგრესიულები არიანო, მცდარი აზრია

2 ქართველებმა აშკარად მოუმატეს

ლისაბონური მატჩის მერე ქართველმა მორაგბეებმა კომპლიმენტები დაიმსახურეს

ბადრი კვითელაძის ფოტო

lotto ლოტო არ არის

1 500 000 დოლარი გარანტირებულია

— არ ველოდი, დღეს ამდენნი თუ მობრძანდებოდით. მზად ვარ, თქვენს ნებისმიერ კითხვას ვუპასუხო... გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ქართულ სპორტულ მასმედიას უმასპინძლა... კარგა ხანია, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არ შევხვედრივართ და, რა თქმა უნდა, მერაბ ჟორდანიას სათქმელიც დაუგროვდა...

იხილეთ მეორე გვერდი

ომის ნაცვლად ომობანა

„ბაიერნი“ — „ლევერკუზენი“. ყველას რომ ეგონა, აბა, ბრძოლა აქ იქნებაო... თამაში ცალკარა გამოვიდა. ლევერკუზენელთა განადგურებაში უნებლიე წილი ტორბენ ჰოფმანმაც დაიდო — უკვე მეორე წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. უიღბლო დასაწყისმა სტუმრები წელში ისე გატეხა, გონს მოსვლა მატჩის ბოლომდე ვეღარ შეძლეს. მიუნხენელები ორმაგად გახარებულნი არიან: ლიდერობაში მოზიარეც გააბითურეს და ბუნდესლიგის ცხრილის თავში მარტონი დარჩნენ.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ლევერკუზენი 3:1. მიუნხენელი პაულუ სერჟიო (მარჯვნივ) ლევერკუზენელი რობერტ კოვაჩის წინააღმდეგ

«ლოტო» ლოტო არ არის

ბადრი კეთილაძის ფოტო

მერაბ ჟორდანია

დასაწყისი პირველ გვერდზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თავდაპირველად ის გვითხრა, მოსკოვში ფიფას პროგრამა „გოლის“ პრეზენტაციას რაც შეეხებოდა...

...ფიფა მზად არის დაგვეხმაროს. ჩვენც, ცხადია, სათანადოდ უნდა ვისაქმიანოთ და.დარწმუნებული ვარ, დაგვეხმარება...

...მაისის დამდეგს უეფა აპირებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა წარმომადგენლების შეკრებას. სად, ჯერჯერობით უცნობია... ისე კი, მასპინძლობის კანდიდატებად რუსეთი, უკრაინა და საქართველო არიან შეგულებული. დიდი შანსია, რომ აღმოსავლეთევროპელთა შეკრებას ჩვენ ვუმასპინძლოთ. ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, ვეცდებით, ასე მოხდეს.

...ყველაზე სავარაუდოა, რომ საქართველოს ნაკრებს იტალიური ფირმა „ლოტო“ შემოსავს. მალე იტალიაში გავემგზავრებით და გავაფორმებთ „ლოტოსთან“ კონტრაქტს, რომლის ღირებულებაც მილიონ ნახევარი დოლარი იქნება. „ლოტო“ მთელი შესარჩევი ციკლის მანძილზე უზრუნველყოფს საქართველოს ნაკრებს სათამაშო ფორმითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით. იტალიელებთან კონტრაქტის გასაფორმებლად ალბათ 16 თებერვალს გავემგზავრებით და ალბათ გავაფორმებთ სამწლიან ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ყოველწლიურად ნაკრების 80 მაისურას მივიღებთ.

...ფედერაციის დაყადაღებული ანგარიში პრობლემა არ არის, ყველამ იცოდეს — ჩვენ არ გვიჭირს. ფედერაციასა და საგადასახადო სამსახურს შორის საერთო ენა უკვე გამოინახა და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერს მოევლება. საგადასახადო ინსპექციასთან მივაღწიეთ გარკვეულ შეთანხმებას და იმედი გვაქვს, ის ჩვენს ინტერესებსაც გაითვალისწინებს. ყადაღადადებული ანგარიში კი ჩვენთვის გადაუჭრელი პრობლემა არ გახლავთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის განკუთვნილი თანხები პირდაპირ უეფას ანგარიშზე ირიცხება...

...იტალიის მასპინძლობის შემდეგ ჩვენ მილიონ ორასი ათას დოლარს მივიღებთ. ჯერჯერობით ყველაზე დიდ თანხას ამ მატჩის ტელეტრანსლირებაში იხდიან... დანარჩენი გუნდების მასპინძლობით, სავარაუდოდ, 20-20 ათას დოლარს მივიღებთ. ამ მხრივ იტალია ყველაზე სარფიანი მეტოქეა.

...მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კალენდარს კი ფიფა დაამტკიცებს. დიახ, ფიფა, რადგან უეფამ სთხოვა — შესარჩევი ციკლი თქვენი ეგიდით ტარდება და თითოეული ჯგუფის კალენდარიც თქვენ დაამტკიცეთო.

...რომელიმე ტელეკომპანია თუ მოისურვებს საქართველოს ნაკრების გასვლითი მატჩების პირდაპირი ეთერით ჩვენებას, ჩვენ შეგვიძლია მათ დავეხმაროთ... საქმე ისაა, რომ მერვე შესარჩევი ჯგუფის ორი გუნდის სატელევიზიო უფლებები სწორედ „ტელესპორტს“ ეკუთვნის. ორი ნაკრები კი უეფასთან თანამშრომლობს.

...სტადიონის განათებას ალბათ თბილისის მერია დაამონტაჟებს, ყოველ შემთხვევაში, მათგან ასეთი დაპირება მივიღეთ. ევროპაში არ არსებობს ისეთი ფეხბურთის ფედერაცია, რომლის წილითაც სტადიონი კეთდებოდეს... მაგალითად გერმანიის საფეხბურთო კავშირიც გამოდგება, რომელსაც სტადიონის ძვირადღირებული კეთილმოწყობა კაპიკიც არ დასჯდომია. ასე რომ, სტადიონს ან ქალაქმა უნდა მოუაროს, ან ქვეყანამ...

კობა ინასარიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

„კოლხეთი“ ტერნოპოლის „ნივას“ ზაველი ღაღანიძის გოლით დაუზავდა

კოლხეთმა ნივა დაამუხრუჭა

ბულგარულ ნესებრში შეკრებაზე მყოფმა ფოთის „კოლხეთმა“ გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. ფოთელები უკრაინის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ტერნოპოლის „ნივას“ დაუპირისპირდნენ და ფრედ 1:1 ითამაშეს.

„მთელი მატჩის განმავლობაში აშკარა ტერიტორიულ უპირატესობას ვფლობდით. მეტოქის კართან უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ. მთლიანობაში ბიჭების თამაშით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. საკმაოდ ძლიერი გუნდი აშკარად დაჯაბნეს“ — გვითხრა გუშინ „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ, რომელსაც ბულგარეთში სასტუმრო „გარუბსში“ შევეხმიანეთ.

ფოთელებს დიდი უპირატესობა კი ჰქონდათ, მაგრამ ანგარიში უკრაინელებს გაუხსნიათ. ეს პირველი ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მომხდარა. მე-80 წუთზე კი ზაველ ღაღანიძეს უვაჟკაცია, რომელსაც 30-35 მეტრიდან ლამაზი გოლი გაუტანია.

„კოლხეთს“ „ნივას“ წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით უთამაშია: ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, ფანჩულიძე, კედელაშვილი, ღაღანიძე, კიკლიაშვილი (ქობულაძე), შავგულიძე, ხუჭუა, ე. გვასალია.

პირველ მატჩთან შედარებით ტყებუჩავამ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება მოახდინა — ჯდამაძის ნაცვლად ტორჩინავა დააყენა.

მწვრთნელის თქმით, შეკრება საკმაოდ კარგად მიმდინარეობს. გუნდი ნესებრში საუცხო პირობებში ემზადება, ძალიან კმაყოფილნი ვართო. ტყებუჩავამ ახალწვეულებიც შეაქო, რაც შეუძლიათ აკეთებენ, თავს არ ზოგავენ. ტრავმაც არავის აწუხებსო.

ფოთელები თავდაპირველად სამჯერად ვარჯიშებს ატარებდნენ — დილით 8 საათზე, შემდეგ 11-ზე, ბოლოს კი 5-ის ნახევარზე. საკონტროლო მატჩების დღეს კი „კოლხეთი“ მხოლოდ ერთხელ ვარჯიშობს, ისიც მსუბუქად. 30-40 წუთი მოთელვას გადიან, მერე კი სათამაშოდ მიდიან.

დანარჩენი ფეხბურთელების გამოცდის მიზნით ტყებუჩავა მეორე შემადგენლობასაც ათამაშებს. გუშინწინ მეორე გუნდს ალექსანდრიას „პოლიგრაფტეხნიკას“ სათადარიგოებთან 1:2 წაუგია. შეგახსენებთ, წინა ძირითადებმა ამ უკრაინული კლუბის ძირითადებს 2:1 სძლიეს.

როცა საწვრთნელი მატჩები არ გვექნება, იმ დღეს ორჯერად ვარჯიშებს ჩავატარებთო, გვითხრა მწვრთნელმა.

„კოლხეთს“ კიდევ ოთხი ამხანაგური შეხვედრა აქვს დაგეგმილი, მათგან უახლოესი დღესაა, უკრაინულ ალჩევსკის „სტალი“, ამ ქვეყნის პირველი ლიგის ერთპიროვნული ლიდერია.

რაც შეეხებათ გიორგი დავითნიძესა და ლევან ტრაპაიძეს, რომლებიც უცხოურ კლუბებში ისინჯებიან, მათი ბედი, როგორც ტყებუჩავამ გვითხრა, ჯერჯერობით კვლავაც გაურკვეველია.

ვანო ოქროპირიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

პრესკონფერენციას ჟურნალისტები მრავლად დაესწრნენ

რუხმა და ჯიქიამ დაიწყეს

პოლონეთის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა ზამთრის ჩემპიონი, ხოჟუვის „რუხი“. ეს გუნდი პირველი წრის შემდეგ ლიდერია 30 ქულით და 2-ით უსწრებს ვარშავის „პოლონიას“. „რუხმა“ მზადება მშობლიურ ქალაქში დაიწყო და მინი-ფეხბურთში ოთხთა ტურნირში იმარჯვა. გუშინ კი ამხანაგურად გაეჯიბრა პირველდივიზიონელ „ოდრას“ და 3:1 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წელია, ხოჟუველთა ღირსებას უკვე აღარარსებული ზუგდიდის „ოდიშის“ ფეხბურთელი მამია ჯიქია იცავს.

ჯიქიამ პირველ წრეში მხოლოდ რამდენიმე მატჩში მიიღო მონაწილეობა. ქართველი დიდი კონკურენციის გამო იჩაგრება. „ოდრასთან“ შეხვედრისას ჯიქია 39-ე წუთზე შევიდა ვლოდარჩუკის ნაცვლად, თუმცა ბოლომდე თამაში არ დასცალდა და 74-ეზე ქართველი ფოლგამ გამოცვალა.

„რუხიდან“ ორი გოლი ბიზარსკიმ გაიტანა, ერთი — ჯიქიას შემცვლელმა ფოლგამ.

ზამთრის შესვენებისას კლუბი მხოლოდ დუბინსკიმ დატოვა, რომელმაც კრაკოვის „ვისლას“ მიაშურა. ახალწვეული კი ხუთია. ახლა „რუხი“ მოლაპარაკებას აწარმოებს ვარშავის „ლეგიასთან“ შარშანწინ გაყიდული ფორვარდის, მარიუს შრუტვას დაბრუნების თაობაზე.

სიმონ მენაბდე

მამია ჯიქია

ტორპედო ჯგუფში მეორეობით მხოლოდ მესამე ადგილისთვის იბრძოლებს

ალბენაში მიმდინარე რვაგუნდიან საერთაშორისო ტურნირზე, რომეშიც ქუთაისის „ტორპედო" ასპარეზობს, ორდღიანი შესვენება გამოცხადდა. გადამწყვეტი შეხვედრების წინ ორგანიზატორებმა კლუბებს დასვენების საშუალება მისცეს. გუშინ ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „დობრუჯაში" დაბინავებულ ტორპედოელებს დავუკავშირდით. ქუთაისელთა გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელ გელა კიკალეიშვილს იქაურ ამბებზე დავეკითხეთ:

— ალბენაში როდის ჩახვედით?

— ანთალიიდან გამომგზავრების მეორე დღეს, 5 თებერვალს. 6-ში კი ტურნირის პირველი მატჩი ვითამაშეთ.

— ვინ არიან „ალბენა მობილტელ 2000"-ის ორგანიზატორები?

— ტურნირს ადგილობრივი ტურისტული კომპლექსის ხელმძღვანელობა ატარებს. ეს პირველი გათამაშებაა. სურვილი აქვთ, იგი ტრადიციული გახადონ.

— პირველ შეხვედრაში სოფიის „ლევსკისთან" 1:2 დამარცხდით. ამ მატჩის თაობაზე დაწვრილებით გვიამბეთ.

— თავიდანვე გეტყვით, რომ მშვენიერი თამაში გამოდგა. შეხვედრა ალბენას ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა და მაყურებელიც მრავლად იყო. მეტოქემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველ ტაიმში უპირატესობა მათი იყო და მოგვიგეს კიდეც 30-ე წუთზე გეორგიევის მიერ გატანილი გოლის წყალობით. მეორე ნახევარში ბიჭები უკეთ ათამაშდნენ, თუმცა ბურთი კვლავ ჩვენ მივიღეთ. 53-ე წუთზე ტელკინსკიმ გაზარდა სხვაობა. ამის შემდეგ მოედანზე „ტორპედო" გაბატონდა. ბულგარელები საკუთარ ნახევარზე მივაჯაჭვეთ. 56-ე წუთზე ჯანაშიამ ერთის გაქვითვაც შეძლო და ანგარიშის გათანაბრება თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და საბოლოოდ დავმარცხდით. მატჩმა დამსწრე სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

„ტორპედოს" შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ჭანტურია, თურმანიძე (შეყრილაძე), ამისულაშვილი, მაღლაკელიძე, ახვლედიანი, ჩხეტიანი (ასათიანი), გოგიაშვილი, კვეტენაძე, იონანიძე, ჯანაშია, მეგრელაძე.

— ყაზახეთის ნაკრებთან შეხვედრაზე რას გვეტყვით?

— საინტერესო ბრძოლა იყო, მაგრამ ამჯერად სხვა სტადიონზე გვათამაშეს და მინდვრის ხარისხი შორს იდგა სასურველისგან. ამან ორივე გუნდის ფეხბურთელებზე იმოქმედა.

ალბენა. სასტუმრო „დობრუჯა"

7 ДНИ СПОРТ

„ლევსკი" — „დუსტლიკი" 2:0. ქუთაისელთა კარში ტურნირის პირველი გოლის გამტანი სოფიელი გეორგი გეორგიევი (მარცხნივ) უზბეკ მცველს გაურბის

მატჩის დებიუტში, მეხუთე წუთზე, იონანიძის გოლით დავწინაურდით. თუმცა ყაზახებმა ორ წუთში შეძლეს წონასწორობის აღდგენა. გოლი კადირკულოვმა გაგვიტანა. 28-ე წუთზე კვლავ იონანიძემ იხეირა და 2:1-ს ვიგებდით. მეტოქემ ამჯერადაც მალე მოახერხა გათანაბრება — 36-ე წუთზე საჯარიმოში სახიფათოდ ჩაწოდებული ბურთი ხვადაგიანს მოხვდა და მიმართულება იცვალა, ჭანტურია უძლური აღმოჩნდა — 2:2.

დარჩენილ დროში ჩვენ უფრო სახიფათოდ ვმოქმედებდით, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ აშკარად მოსაგები თამაში იყო. ბოლო წუთებზე ჭანტურიას რომ არ გადავერჩინეთ, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მოვლენები.

„ტორპედომ" შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი, ამისულაშვილი, მაღლაკელიძე, გოგიაშვილი (ასათიანი 46), კვეტენაძე, ჩხეტიანი, იონანიძე, მეგრელაძე (იმედაძე 60), ჯანაშია.

— მესამე მატჩში უზბეკეთის „დუსტლიკთან" მხოლოდ მოგება გაძლევთ ხელს, ნახევარფინალში რომ მოხვდეთ...

— უზბეკებს რომ უნდა მოვუგოთ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ტურნირში გამარჯვებისთვის ველარ ვიბრძოლებთ. გათამაშება სხვა პრინციპით ტარდება. ყველა მონაწილემ რომ 4 შეხვედრა გამართოს, ამ მიზნით ორგანიზატორებმა შემდეგი სისტემა არჩიეს — ფინალს ორივე ჯგუფში პირველ ადგილზე გასული კლუბები ითამაშებენ. ჩვენგან „ლევსკიმ" გაინაღდა ფინალის საგზური. მეორე ოთხეულში კი „კრილიას" აქვს კარგი შანსი. „ალბენა მობილტელ 2000"-ის მესამე საპრიზო ადგილისთვის ჯგუფების მეორეადგილოსნები იბრძოლებენ. მესამეები და მეოთხეები კი შესაბამისად ერთმანეთს შეხვდებიან.

ამჟამად ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმიც საპრიზო მესამე ადგილის დაუფლებაა.

— სავარჯიშო პირობები როგორი გაქვთ?

— სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები საუცხოოა. ოთხვარსკვლავიან სასტუმროში ვართ დაბინავებულები და ირგვლივ სრული კომფორტია.

— ტორპედოელთაგან ვინმეს ტრავმა ხომ არა აქვს?

— არა. საბედნიეროდ, ყველა ჯანზეა და ინტენსიურად ემზადება.

— ბულგარულ პრესაში ეწერა, რომ ადგილობრივ „დობრუჯასთან" აპირებთ საკონტროლო მატჩის გამართვას.

— იყო ასეთი მოლაპარაკება, მაგრამ არა მგონია, რომ მოვასწროთ. 11-ში „დუსტლიკს" ვეთამაშებით. 13-ში ტურნირის დასკვნითი შეხვედრებია. მეორე დღეს კი საქართველოში ვბრუნდებით.

ხვიჩა სანიკიძე



დემეტრაძე არ ნანობს

უკრაინულ გაზეთ „კომანდასთვის" მიცემულ ინტერვიუში კიევის „დინამოს" ახალწვეულმა გიორგი დემეტრაძემ განაცხადა, რომ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში გადასვლას სულაც არ ნანობს. „ახალ ვარჯიშებს ეტაპობრივად ვეგუები და ამის გამო სულაც არ ვნერვიულობ. ახლა გუნდი ალბათ, ჯერ არ არის ოპტიმალურ ფორმაში, თუმცა „რუსენბორგთან" უკვე ყველაფერი რიგზე იქნება" — თქვა დემეტრაძემ. ქართველს ეს ინტერვიუ „შახტართან" საკონტროლო მატჩის შემდეგ ჩამოართვეს, რომელიც „დინამომ" 3:0 მოიგო, დემემ კი ერთი გაიტანა. „ვფიქრობ, „შახტარი" კარგი გუნდია და სამეულისთვის იბრძოლებს" — თქვა დემეტრაძემ. აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს ამ ორი გუნდის დუბლების თამაში „შახტარი 2"-მა მოიგო. მიხეილ ფოცხვერია 65-ე წუთზე გამოჩნდა დონეცკელთა რიგებში.

სიმონ მენაბდე

ფოცხვერიას ბედი საამიროებში წყდება

მისი სასწორი კაიდარაშვილის თანაგუნდელობისკენ იხრება

მიხეილ ფოცხვერიას რომ დონეცკის „შახტარის" მწვრთნელობა არ სწყალობდა, ცნობილი ამბავია. ჯერ იყო და პაველ იარემჩენკომ გააწამა ჩვენებური — სათადარიგოთა სკამს გაუშინაურა, ბოლოს კი უკრაინის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „დნეპრში" გაანათხოვრა და თავისი გაგებით ფოცხვერიას თამაშის წყურვილი „მოუკლა". მერე იარემჩენკოს სამწვრთნელო გაგება კლუბის პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა აითვალწუნა და თავკაცს კარისკენ მიუთითა. მიხეილ ფოცხვერიას გულშემატკივრები იარემჩენკოს ჰეგემონიის დასასრულს იმედიანად შეეგებნენ. მით უმეტეს, რომ "შახტარის" ახალი მთავარი მწვრთნელის, ანატოლი ბიშოვეცის გადაწყვეტილებით, ფოცხვერია სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყო კლუბში.

თავდამსხმელმა ბიშოვეცის მეთვალყურეობით ახალი სეზონისთვის ინტენსიური მზადება დაიწყო, მაგრამ ერთ-ერთ უცხოურ შეკრებაზე მორიგი ტრავმა მიიღო და დონეცკში ნაადრევად გაბრუნდა. ამ თუ სხვა მიზეზით ბიშოვეცი წინამორბედის გზას გაადგა და ფოცხვერიას იშვიათად აძლევდა მოედანზე გამოჩენის საშუალებას. სულ მოკლე დროში „შახტარისთვის" ბიშოვეცის მმართველობის ერაც გასრულდა. თავკაცს ევროსარბიელზე უსუსური გამოსვლა არ აპატიეს.

შემოდგომაზე დონეცკელებმა ვოლგოგრადის „როტორის" დამრიგებელს ვიქტორ პროკოპენკოს დაუწყეს კურკური და რუსეთიდან უკრაინაში სამუშაოდ წასვლაზე დაიყაბულეს.

პროკოპენკომ „შახტარში" ძირეულ გარდაქმნებს მიმართა. გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი მიიწვია (ძირითადად რუსეთიდან) და ბევრი ძველის გაშვებაზე იწყო ფიქრი. წესით და რიგით, მიხეილ ფოცხვერია არ უნდა მოხვედრილიყო კლუბიდან გაშვებულ თუ გასანათხოვრებულთა სიაში, მან არაერთ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა და 4 გოლიც ჩაიწერა ანგარიშზე, მაგრამ...

„შახტარის" მეორე უცხოურ შეკრებაზე იგი კვლავ დაშავდა. მართალია, ტრავმა სერიოზული არ იყო და ფეხბურთელიც მალევე გამოჯამრთელდა, მაგრამ პროკოპენკომ რატომღაც მისი გვარის გუნდიდან სავარაუდოდ გასანათხოვრებულ მოთამაშეთა ნუსხაში შეყვანა ისურვა. „შახტარის" ვიცე-პრეზიდენტ საფიულინის განცხადებაზე დაყრდნობით „უკრაინსკი ფუტბოლმა" გაავრცელა ინფორმაცია ფოცხვერიას, ჩიჟოვკის და ბენიოს ზაპოროჟიეს „მეტალურგში" შესაძლო განათხოვრების თაობაზე, თუმცა დასძინა, საბოლოო პასუხს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მოწყობილი შეკრება გაგვცემსო.

„შახტარი" ორი დღის წინ გაემგზავრა საამიროებში, სადაც მზადების ერთ-ერთ დასკვნით ეტაპს გაივლის და რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც გამართავს. იმედია, ჩვენებურს ამჯერად მაინც დაეხსნება უილბლობა და შეძლებს, დონეცკელებს თავისი სიძლიერე დაუმტკიცოს. სხვა შემთხვევაში კი მისი ბედი ზაპოროჟიეს „მეტალურგის" თავკაც მირონ მარკევიჩს დაუკავშირდება და ფოცხვერია ტერნოპოლის „ნივადან" იქ გადაბარგებული ალექსანდრე კაიდარაშვილის თანაგუნდელი გახდება.

ხვიჩა სანიკიძე

1998 წ. „შახტარი" — „ნივა". მატჩში საუკეთესო მიხეილ ფოცხვერია (ბურთით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგურალის პირველი და უხვგოლიანი

წყალტუბოელები გაძლიერებას ცდილობენ

გაჟილ კეთილაძის ფოტო

არჩილ ჩხაბერიძე

გაჟილ კეთილაძის ფოტო

ირაკლი გიორგობიანი

მინი ფეხბურთში მიხეილ მესხის სახელობის ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ წყალტუბოს „სამგურალმა“ ორიოდე დღე დაისვენა, ახლა კი ისევ მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპისთვის მზადებას განაგრძობს. ადრეც გვითქვამს, გუნდს ქუთაისში უწევს წვრთნა.

გუშინ იასონ ბზიკაძის შეგირდებმა პირველი საკონტროლო შეხვედრაც გამართეს. სოფელ გეგუთის სტადიონზე წყალტუბოელები რეგიონალურ ლიგაში მოთამაშე ქუთაისის „ინტერს“ გაეჯიბრნენ და, იცოცხლე, „ტორპედოს“ ფარმკლუბელებს შავი დღე აყარეს. „სამგურალმა“ 8:0 დაამარცხა მეტოქე. 3 ბურთი ქუთაისელებს სუხიაშვილმა გაუტანა, თითოჯერ კი ძაგნიძემ, ლონლაძემ, გიორგობიანმა, ზვიად ქუთათელაძემ და კახა ჯანაშიამ გამოიჩინეს თავი. გუშინვე „სამგურალმა“ და „ინტერმა“ სათადარიგო შემადგენლობებითაც მოსინჯეს ერთმანეთი და აქ უკვე ქუთაისელებმა იმარჯვეს პენალტიდან გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით.

წყალტუბოელთა ძირითად გუნდში ორი ახალი გამოცდილი ფეხბურთელი ვიხილეთ, ნახევარმცველი ირაკლი გიორგობიანი, რომელიც ვლადივოსტოკის „ლუჩიდან“ წამოვიდა და, ალბათ, ძველებურად „სამგურალის“ მაისურას მოირგებს და ექსტორპედოელი მცველი არჩილ ჩხაბერიძე. არ არის გამორიცხული მოკლე ხანში „სამგურალს“ კიდევ დაემატონ გამოცდილი მოთამაშეები. როგორც შევიტყვეთ, კლუბის ხელმძღვანელობა ძმების ვარლამ და გიორგი კილასონიების, ასევე სანქტ პეტერბურგის „ლოკომოტივიდან“ წამოსული მამუკა ხუნდაძის დამატებითაა დაინტერესებული. „მარგვეთიდან“ ცნობილი გოლეადორის ზვიად ენდელაძის გადმობირებაზეც ლაპარაკობენ და... თუ კი „სამგურალი“ ჩამოთვლილი ექვსი ფეხბურთელის დამატებას შეძლებს (ყველაფერი ფინანსებზე იქნება დამოკიდებული), მაშინ ნახეთ... წყალტუბოელები, ალბათ, პირველ ჯგუფში დარჩენის პრობლემასაც გადაწყვეტენ და შარშანდელივით თასის მოსაპოვებლადაც გაიბრძოლებენ. თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია. რა და როგორ იქნება, დრო გვიჩვენებს.

იუზა ძაძიტაძე
ქუთაისიდან

საშუასეზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი)	გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი)	ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2
დინამო *ოთარ კორღალიძე*	აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი)	ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?)	ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დ. გოგოლაძე, დავითნიძე (?)	მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (ბუმენი, ბულგარეთი)	პოლიგრაფტექნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა)
ბათუმი *ჯანი კარნევალე*	პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაშიმიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?)	ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი)	რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ)	ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო)	ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერბახჩე (თურქეთი) 3:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი)	მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი)	ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3
დილა *მერაბ კოჭლაშვილი*	გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სოლოლაშვილი, შატაკიშვილი (ლადა ტოლიატი ვაზ, რუსეთი)	საყვარელიძე (დილას სკოლა)	ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1
იბერია *სოსო ფრუიძე*	კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი)		

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ჭარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნიჟნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (დნეპრი, უკრაინა), დოლაბერიძე (?)	ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი)	დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1
გორდა *იასონ ალადაშვილი*		კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი)	ხალიბი 4:3, 3:2
თსუ *თენგიზ კაცია*	მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი)	მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი)	ვიტ ჯორჯია 4:6
მერანი *სერგო გაბელაია*	ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი)	კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), თ. დოლიძე, მოსულიშვილი, ხორხელი (?)	ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0
თბილისი *რამაზ შუშლაძე*	ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია)	გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალაია (თბილისი 2), ლუდუშაური (არ თამაშობდა)	
სამგურალი *იასონ ბზიკაძე*	ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე)	კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია)	ინტერი 8:0
ხობი *უმწვრთნელოდ*	ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?)		
არსენალი *ჯონი ჯანელიძე*	ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს)	ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნიჟნივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი)	სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ჭაობზე დასახლებული

თექვსმეტწლამდელები

ცოტა ხნის წინ „მესხის თასის“ ტურნირზე ერთმა ფაქტმა გამაოცა. სპორტის სასახლეში სხვებთან ერთად ქართველი თექვსმეტწლამდელებიც მონაწილეობდნენ. პირველლიგელები — „თბილისი“ და „სიონი“ ჰყავდათ მეტოქეებად ყმაწვილებს. ორივე მატჩი დათმეს თექვსმეტწლამდელებმა, მაგრამ საქმე ამაში როდია, იომეს, იბრძოლეს, წამითაც არ შეუშინდნენ ასაკით თითქმის ორჯერ უფროს კოლეგებს, დამარცხდნენ, მაგრამ მაინც თავაწეულებმა დატოვეს მოედანი, არადა, თექვსმეტწლამდელებისას პირობითად თუ დაარქმევდა მნახველი ამ ნაკრებს. როგორც ჩანს, მწვრთნელები ძიებაში არიან და „მესხის თასის“ ტურნირზეც სხვადასხვა ასაკის მოზარდებს მოუყარეს თავი ნაკრების შემადგენლობაში. იყვნენ თექვსმეტიწლისანიც, მაგრამ უფრო უმცროსები ჭარბობდნენ — ერთი-ორი ცამეტი წლის ბავშვიც თამაშობდა მათ შორის. არა, მართლაც საოცარი იყო მათი ჟინი, ბრძოლის წყურვილით და შროსმისუნარიანობით (მატჩის მსვლელობისას) არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ უფროსებს. ამ ყოველივემ კი ჩვენი ერთი ძველი, ქართულ ფეხბურთული სენი გამახსენა — შედის ბავშვი ფეხბურთზე, იზრდება გარკვეულ ასაკამდე, არ აკლია არც ნიჭი, არც მონდომება, ნებისმიერ საფეხბურთო კომპონენტს გამართულად, ბევრის მოსაწონად ფლობს, მაგრამ მოახლოვდება ის წყეული „გარკვეული ასაკი“, გადაბიჯებს მოზარდი სულ სხვა, უფრო დიდ ეტაპზე და კაპიკი ხდება მის ფასი. უკეთეს შემთხვევაში პერსპექტიულად რჩება და მხოლოდ ერთი-ორი თუ ახერხებს, ამას თავი დააღწიოს. მოკლედ, პრობლემა კვლავაც პრობლემად რჩება... „სარბიელი“ აგრძელებს ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ყოფის გაცნობას. დღეს თენგიზ სულაქველიძის სახელობის ბავშვთა ფეხბურთის საერთაშორისო აკადემიას წარმოგიდგენთ...

გზა ნაგავსაყრელზე გამოჩნდა

თენგიზ სულაქველიძის წარდგენა მკითხველისთვის ალბათ ზედმეტიც იქნება. შვიდი წელია, წარსულში ცნობილი მოთამაშე ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწეობს. ამ ხნის განმავლობაში იგი თბილისში საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბებაზე ოცნებობდა. ეს კი არცთუ იოლი საქმე გახლდათ. ფინანსურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ამ დალოცვილ საფეხბურთო ტრადიციებით მდიდარ ქვეყანაში საფეხბურთო სარბიელად გამოსადეგი ადგილი არ ჩანდა. ეძება სულაქველიძემაც და ბოლოს დიღმის ხეივანს მიადგა. იმ ადგილს დიღმის ხეივანი პირობითად ჰქვია — გაერთიანება „მიონის“ გვერდით მდებარე ოთხ ჰექტარზე გაჭიმულ ტერიტორიაზე ადრე ნაგავსაყრელი იყო, დრომ თავისი გააკეთა და იქაურობა ჭაობმა დაფარა, სწორედ ეს ბინძური წყლით და ნაგვით დაფარული ადგილი შეარჩია სულაქველიძემ მომავალი საქმიანობისთვის.



თენგიზ სულაქველიძე

ფოტო ფოლიანავეველის

სიმართლე გითხრათ, გუშინდელი მასპინძლისთვის არ მიკითხავს, თუ რა სახსრებით, რა ძალით, ვისი დახმარებით შეძლო ამხელა ტერიტორიის მოთვინიერება, არ მიკითხავს და ფიქრადაც არ მომსვლია. ჩემთვის ერთობ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ადგილზე ადრე ჭაობი და სიბინძურე იყო, დღეს კი მოედნებია, ბავშვები დარბიან, ბურთს აგორებენ ხვალინდელი დღის იმედით, საქმე კეთდება...

თენგიზ სულაქველიძე: „არც კი ვიცი რა ვთქვა, იმდენად ბედნიერი ვარ. ვგრძნობ, რომ საჭირო, ბევრისთვის გამოსადეგ საქმეს ვაკეთებთ... აქ არაფერი არ იყო, კაცი ვერ შემოვიდოდა ამ ადგილზე, შარშან, მაისის ბოლოს, დავიწყეთ საქმე, უზარმაზარი მოცულობის სამუშაო ჩატარდა. 6-7 თვეში სრულად გაიწმინდა ეს ადგილი. პატარა სასწაული მოხდა. ყველაფერი ფირზე მაქვს დაფიქსირებული. მისი ნახვის შემდეგ გაგიკვირდებათ, როგორ იცვლებოდა აქაურობა დღითი დღე. დიდი მადლობ მინდა ვუთხრა სახელმწიფო მინისტრს, დიდუბის გამგეობას, მიწის დეპარტამენტს, ქალაქის მერიას, მათ გარეშე ნამდვილად გაგვიჭირდებოდა“...

ახალშექმნილი აკადემიის პირველი უცხოური პრიზი

ფოტო ფოლიანავეველის

ვიყოთ პირველები

თენგიზ სულაქველიძის სახელობის ბავშვთა ფეხბურთის საერთაშორისო აკადემია ყველაზე ახალგაზრდა საფეხბურთო დაწესებულებაა საქართველოში. საერთაშორისო დონეზე გასვლის იმედი რომ არ გვქონდეს, ამ სუტყვას სულაც არ ჩავურთავდით სკოლის დასახელებაშიო, გვეუბნება ბატონი თენგიზი. ერთიცაა, დღემდე საფეხბურთო სკოლებით წარმოდგენილ ჩვენს ქვეყანას მსგავსი ტიპის დაწესებლება არ ჰქონდა. თენგიზ სულაქველიძე: „აკადემია უფრო ბევრის მომცველია და ვეცდებით, სახელს არ ვუღალატოთ, უნდა ვიპირველოთ და საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, სამი თვეა რაც საქმეს შევუდექით, მაგრამ რაღაც მთრგუნავს, ასე მგონია ჯერ არაფერი გაგვიკეთებია. ეს იმის ბრალია, რომ წინ დიდი ჯაფა გველის. ამას აუვალთ, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ“.

ახალდაფუძნებულ საფეხბურთო აკადემიაში კი გასაკეთებელი მართლაც ბევრია, თუმც არც დღემდე ყოფილან გულხელდაკრეფილნი. ვარჯიშები სამ მოედანზე მიმდინარეობს. საგულდაგულოდ არის მოწესრიგებული იქაურობა, მასპინძლებს ახლადდარგულ ნაძვების იმედიც აქვთ, ტანს აიყრიან, ლაზათს შეჰმატებენ აკადემიასო. სამი სათამაშო მოედნიდან ერთზე წიდა დაიყრება. ეს აუცილებელიცაა, რათა ბავშვებს ნებისმიერ ამინდში შეეძლოთ ვარჯიში. აქვე მშენებარე, ჯერაც გადათხრილი მოედანია, სადრენაჟოდ მოტოვებული. დრენაჟს მოვრჩებით და შემდეგ ბალახის შემოტანაზეც ვიზრუნებთ — გვითხრეს.

ბალახის მოედანი — ჩემი აზრით, ესეც არის ბავშვთა ფეხბურთის პრობლემა. თავად განსაჯეთ, წიდაზე, მიწაზე (ზოგჯერ ასფალტზეც) მოვარჯიშე მოზარდი მიდის დიდ ფეხბურთში, უცებ ხვდება ბალახის საფარი (ღვთის მადლით ასეთი სათამაშო მინდვრებიც გვაქვს შემორჩენილი), მოედანი რომელზეც მას ფაქტობრივად არც ერთ ნაბიჯზე ეგულებოდა ბალახი, ეს ერთ-ერთი ... ეტაპია. ... ეს ... ...

REUTERS ულმიდან

ულმი — მიუნხენი 3:0. ულმელმა ჰანს ვან დერ ჰაარმა (თეთრი მაისურით) მეტოქეებთან სტეფან პასლაკსთან (შუაში) და მარტინ მაქსთან საჰაერო დუელი წააგო

რეჰაგელს არ გაუმართლა? ნამუსიც კარგი საქონელია...

გერმანია

XIX ტური

ლაუტერნი 2:2 ჰანზა

0:1 არვიდსონი (11), 0:2 აგალი (73), 1:2 პეტერსონი (85), 2:2 კომლიენოვიჩი (86)

კაიზერსლაუტერნი: გოსპოდარეკი, კომლიენოვიჩი, კოხი, შიონბერგი, ჯორკაეფი (რაიხი 46), რატინიო, ხრისტოვი (ბუკი 46), შტრასერი (ტარე 78), ვაგნერი, პეტერსონი, მარშალი

ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი (ვაილანდტი 58), ჰოლეჩეკი, შნაიდერი (ელერსი 46), ლანგე, ვიბრანი, ლანცი, მაიაკი, ბრანდი, აგალი, არვიდსონი

გაფრთხილება: ჰოლეჩეკი, ბენკენი, ბრანდი, ლანგე

მსაჯი: მაიერი

ულმი 3:0 მიუნხენი

1:0 ოტო (4), 2:0 ვან დერ ჰაარი (15), 3:0 შარინგერი (72)

ულმი: ლაუქსი, ბოდოგი, მარკესი, გრაუერი, რადოკი, მაიერი, ოტო, გორა, შარინგერი (ტრკულია 88), ლეანდრო (პლოილერი 88), ვან დერ ჰაარი (როსლერი 75)

მიუნხენი: ჰოფმანი, ვოტავა (შტრანცლი 52), კურცი, პასლაკი, ჩერნი, რიდლი, ჰესლერი, ზელიჩი, ბორიმიროვი (შროტი 57), ვინკლერი, მაქსი

გაფრთხილება: ბოდოგი, ოტო, ზელიჩი, კურცი, ვინკლერი, ჰესლერი

მსაჯი: იანსენი

შალკე 3:1 ვერდერი

1:0 სანდი (6), 1:1 აილტონი (33), 2:1 მპენზა (46), 3:1 სანდი (83)

შალკე: რეკი, ვალდოხი, ჰაპე, მიულერი, ლატალი, კმეჩი, ნემეცი, ალპუგანი (ჰელდი 81), ვილმოტსი, სანდი (კამპუისი 90), მპენზა (ასამოა 84)

ვერდერი: როსტი, ტიკუზუ (ბოგდანოვიჩი 77), ბაუმანი, ცეზარი (დაბროვსკი 46), ვიდერი, ფრინქსი, ტრარესი, აილტსი (მაქსიმოვი 54), ჰერცოგი, პიზარო, აილტონი

გაფრთხილება: ლატალი, ნემეცი, ტიკუზუ

მსაჯი: კოოპი

ჰერტა 2:0 არმინია

1:0, 2:0 პრეეცი (51, 75)

ჰერტა: ფიდლერი, ვან ბურიკი (ჰერცოგი 12), რემერი, სვერისონი, როი, შმიდტი, ვოში, მიხალკე (ვაიტი 55), ჰარტმანი, პრეეცი, ალვეში (დაისლერი 74)

არმინია: მილეტიჩი, პეეტერსი, შტრატოსი, კლიცპერა, განსაუგე, ბოდე (რიდლევიჩი 76), მაისნერი, ბიომე, მაული, ლაბადია, ვაისენბერგერი

გაფრთხილება: როი

მსაჯი: ალბრეხტი

„ძალიან დრამატული დასასრული იყო. იღბალი ჩვენს მხარეს რომ ყოფილიყო, ამ მატჩს სულაც მოვიგებდით“ — არ გეგონოთ, ეს სიტყვები როსტოკის „ჰანზას“ მთავარ მწვრთნელ ანდრეას ცახჰუბერს ეთქვა. ასეთი რამ მისმა კოლეგამ, „კაიზერსლაუტერნის“ თავკაცმა ოტო რეჰაგელმა განაცხადა.

„ლაუტერნი“ — „ჰანზას“ შეხვედრის 85-ე წუთამდე სტუმრები დამჯერებლად იგებდნენ. მართალია, მატჩი მასპინძლების შეტევებით დაიწყო, მაგრამ როსტოკელები, ბოლო წუთებს თუ არ ჩავთვლით, თავს მშვენივრად იცავდნენ და მეტოქის კარისთვისაც იცლიდნენ. პირველივე წუთებზე პიკენჰაგენმა ჯორკაეფს აუღო მერე კი „ჰანზას“ შვედურმა დუეტმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა — ვიბრანის ჩაწოდებული არვიდსონმა გამოიყენა და თავისიანები დააწინაურა. ეს მე-11 წუთზე მოხდა. მატჩის დასრულებას 17 წუთი რომ უკლდა, აგალიმ გოსპოდარეკს მეორეც გაუტანა და თითქოს თამაშს აზრი დაუკარგა. თუმცა „ჰანზა“ ერთი წუთით მოეშვა და ტაბლოზეც უმალ 2:2 აინთო; ჯერ იორგენ პეტერსონმა შეამცირა ანგარიში სხვაობა, წამების შემდეგ კი კომლიენოვიჩმა ისარგებლა როსტოკელთა დაბნეულობით და წონასწორობა აღადგინა.

მატჩის შემდეგ რეჰაგელს კომენტარი სთხოვეს, მანაც მთელი სერიოზულობით განაცხადა ის, რაც ზემოთ გითხარით.

შეხვედრის დაწყებამდე „ჰანზას“ მწვრთნელ ცახჰუბერისთვის ვინმეს ფრე რომ შეეთავაზებინა, იგი, ალბათ, სიხარულით დათანხმდებოდა, ნამატჩევს კი თქვა: „ეს ფრე წაგების ტოლფასია. ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ჩემმა გუნდმა დღეს არაპროფესიონალიზმი გამოავლინა.“

შაბათს „ფრაიბურგთან“ 0:2 დამარცხებულმა „ულმმა“ ლიდერთა ხუთეულის წარმომადგენელ „მიუნხენს“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო. ზედიზედ მეორე წაგებამ მიუნხენელთა მთავარ მწვრთნელ ვერნერ ლორანტს ნათლად დაანახა, რომ არდადეგების პერიოდი არცთუ ნაყოფიერად გამოუყენებია.

მატჩის დებიუტშივე ოტომ და ვან დერ ჰაარმა გაიტანეს და „ულმიც“ საკმაოდ სოლიდური სხვაობით დაწინაურდა. სტუმრებს პირველ ნახევარში მდგომარეობის გამოსწორება, ფაქტობრივად, არც უცდიათ. მეორეში კი ოდნავ გამოფხიზლდნენ და ჩერნის ერთი საპასუხო გოლის გატანის შანსიც მიეცა, თუმცა მას მეკარე ლაუქსმა აჯობა, რომელიც მოგვიანებით ჰესლერის ჯარიმასაც გაუმკლავდა. 72-ე წუთზე „მიუნხენი“ საბოლოოდ შეურიგდა მარცხს. შარინგერმა ჰოფმანს მესამეც გაუტანა.

„შალკემ“ კი ზედიზედ მეორედ მოიგო. ბრემენის „ვერდერთან“ საშინაო შეხვედრაში გელზენკირხენელები დებიუტშივე დაწინაურდნენ. თავი დანიელმა ეხე სანდმა გამოიჩინა. მერე აილტონმა გაათანაბრა და ტაიმიც 1:1 დასრულდა. მეორე ნახევრის პირველივე წუთზე „შალკეს“ ახალწვეულმა, ბელგიელმა ემილ მპენზამ ითამაშა კარგად, თანამემამულე ვილმოტსის პასი გამოიყენა და მასპინძლები ისევ წინ გაიყვანა. სანდმა 83-ე წუთზე მატჩს წერტილი დაუსვა — 3:1.

„ვილმოტსის და გუნდის მენეჯერის, ასაუერის დიდი მადლობელი ვარ. სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ მპენზა ახლა ჩვენთანაა“ — ასე შეაქო ბელგიელი „შალკეს“ მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა.

„ჰერტამაც“ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. ბერლინელებმა ამჯერად ბილეფილდის „არმინიას“ 2:0 სძლიეს. ორივე გოლი მიხაელ პრეეცმა გაიტანა, რომელიც კვლავ ძველ ფორმას იბრუნებს. მეორე წრის პირველი ორი ტური ამაზე მეტყველებს. „ჰანზასთან“ და „არმინიასთან“ მოგებულ მატჩებში „ჰერტამ“ სამი გოლი გაიტანა, სამივე ბურთი პრეეცმა ჩაიწერა აქტივში.

ვანო ოძროპირიძე

ბაიერნი	18	11	4	3	33:13	37
ლევერკუზენი	18	10	7	1	32:18	37
ჰამბურგი	18	8	8	2	39:19	32
ვერდერი	19	8	5	6	37:28	29
მიუნხენი	19	8	5	6	29:26	29
დორტმუნდი	18	7	7	4	24:14	28
ჰერტა	19	7	7	5	25:28	28
შალკე	19	6	9	4	26:22	27
შტუტგარტი	18	8	3	7	22:21	27
ლაუტერნი	19	8	3	8	24:32	27
ვოლფსბურგი	18	6	6	6	24:31	24
ფრაიბურგი	18	6	5	7	26:23	23
უნტერჰახინგი	18	6	5	7	19:20	23
ულმი	19	6	4	9	22:27	22
ჰანზა	19	5	6	8	25:38	21
დუისბურგი	18	2	7	9	18:33	13
აინტრახტი	18	3	2	13	17:28	11
არმინია	19	2	5	12	14:35	11

ჯონ ბარნსს წყალი შეუშენეს

ჯონ ბარნსი

ლივერპულელთა ყოფილ კერპს, ამჟამად გლაზგოს „სელტიკის“ მწვრთნელ ჯონ ბარნსს ცუდი დრო დაუდგა. კლუბის ქომაგები მის გადაყენებას ითხოვენ. მიზეზი ასეთია: „სელტიკმა“ შოტლანდიის თასის მეთექვსმეტედფინალში დაბალდივიზიონელ „აინვერნესთან“ 1:3 წააგო. ასეთი სამარცხვინო მარცხი სქოთთა სათაყვანებელ კლუბს აგერ 30 წელია, არ განუცდია. ამ ამბავს ჩემპიონატში „ჰართსთან“ ყოვლად გაუგებარი დამარცხება უძღოდა — „სელტიკმა“, რომელიც 2:0 იგებდა, საკუთარ კარში სამი გოლის გაშვება მოახერხა. ახლა მუდმივ მეტოქეებს, „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შორის სხვაობამ ათ ქულამდე მიაღწია, რაც „სელტიკს“ გაჩემპიონების შანსს პრაქტიკულად უკარგავს. ამდენად, გულშემატკივართა რეაქცია სავსებით გასაგებია.

კლუბის ქომაგთა პროტესტს ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაც დაერთო. მოთამაშეები მწვრთნელის საკადრო პოლიტიკით, ანუ მინდორზე გასაყვან ფეხბურთელთა შერჩევის ბარნსისეული პრინციპით უკმაყოფილონი არიან. ეს კი ნიშნავს, რომ მწვრთნელს გუნდის მართვის სადავეები ხელიდან უსხლტება. „აინვერნესთან“ მატჩის დროს ბარნსმა მარკ ვიდუკა შეცვალა. როდესაც მას ამის თაობაზე კომენტარი სთხოვეს, მწვრთნელმა უპასუხა: „კლუბში გარკვეული პრობლემები არსებობს, რასაც სხვათა დაუხმარებლად მოვაგვარებთ. რამდენიმე დღეში უფრო ვრცლად გესაუბრებით, ახლა კი ვეღარფერს დავუმატებ.“

ქომაგები კი არ ცხრებიან. მათ ყველა კითხვაზე პასუხი დღესვე აინტერესებთ. ბარნსის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა კლუბის მემატიანე ბობ კრემპსმაც. მან „სელტიკის“ ასწლოვანი ისტორია გაიხსენა და თქვა, „სელტიკს“ ასე სამარცხვინოდ არასდროს წაუგიაო. „განა არ დავმარცხებულვართ, მაგრამ ასეთი უჯიგრო თამაში არასოდეს მინახავს“ — ამბობს კრემპსი.

მიუხედავად ასეთი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებისა, ბარნსს მომხრეებიც ჰყავს. მათ შორისაა ბილი მაკნილი, კაცი, რომელიც გლაზგოელთათვის ცოცხალ ლეგენდად ქცეულა. მაკნილი იმ ლეგენდარული „სელტიკის“ ფეხბურთელი იყო, რომელმაც 1967 წელს ლისაბონში „ინტერი“ დაამარცხა და ჩემპიონთა თასს დაეუფლა. მაკნილს უთქვამს: „მწვრთნელების ხშირი შეცვლის წინააღმდეგი ვარ. ამას სასიკეთო არაფერი მოაქვს. უმჯობესია, ადამიანს მუშაობის და შეცდომების გამოსწორების შანსი მისცე. რაც შეეხება ბარნსს, ვფიქრობ, ის კლუბს კიდევ ბევრ სარგებელს მოუტანს.“

თავად კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული მწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ნებაყოფლობით წასვლას არ აპირებს.

„ძველი ყაიდის კაცი ვარ — ამბობს ბარნსი — მიმაჩნია, რომ კლუბის ინტერესები ყველაზე მაღლა დგას და ფეხბურთელები მას უნდა ემსახურებოდნენ. გერქვას სელტიკელი — უდიდესი პატივია.“

აი, ასეა საქმე. აქეთ მწვრთნელი, მეორე მხარეს კი ქომაგები და ფეხბურთელთა ნაწილი. ვინ ვის? ამას მალე გავიგებთ.

იტალიისთვის შობილი ჩეხი



ზდენეკ ზემანი

ზდენეკ ზემანი, როგორც ჩანს, იტალიურ ფეხბურთს დაუბრუნდება. ჩეხი სპეციალისტი, რომელიც ფაბიო კაპელომდე „რომას“ ედგა სათავეში, მერე კი ბედი თურქეთში, სტამბოლის „ფენერბაჰჩეში“ სცადა. სწორედ ის პიროვნება გახლავთ 1998 წლის ზაფხულში იტალიურ ფეხბურთში გავრცელებულ დოპინგზე ხმა რომ ამოიღო და დიდ გამოძიებათა მიზეზად იქცა. სწორედ მაშინ გახმაურდა პრეპარატ კრეატინის ამბავი, ბევრ ვარსკვლავს კი მაგისტრატურაში დაკითხვაზე მოუხდა მისვლა.

ზემანი „ფენერბაჰჩეს“ ვერ მოერგო, სეზონის დასაწყისშივე გაანთავისუფლეს და მისით კვლავ აპენინის ნახევარკუნძულზე დაინტერესდნენ.

„ფიორენტინა“, აი, იმ გუნდის სახელწოდება, რომელიც ძალიან ახლოსაა ჩეხთან ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებასთან. ფლორენციელებს დღეს დიდი მწვრთნელი, უდიდეს ტიტულთა მომპოვებელი ჯოვანი ტრაპატონი უდგას სათავეში, მაგრამ დონ ტრაპი, როგორც ჩანს დაბერდა, რადგან მისთვის ერთობ უჩვეულო რამ შეემთხვა — ახალ გუნდს ჯილდო ვერ მოაგებინა. მოკლედ, ტრაპატონი სეზონს ჩაამთავრებს და ტოსკანიელებს დაემშვიდობება, მის ადგილს კი ზდენეკ ზემანი დაიკავებს.

ზემანი უწინარესად სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარადაა ცნობილი. მისი ტაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დეტალი შეტევის დროს დამცველების ნახევარდაცვაში განლაგება გახლავთ, მაგრამ როგორ მოირგებს ჩეხის იდეებს „ფიორენტინა“ მომავალში უნდა გამოჩნდეს.

ედმუნდო ჩვეულ ამპლუაში

მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი კლუბთა შორის. ფინალში გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერიის შესრულება გახდა საჭირო. ბოლოს ედმუნდო ურტყამს. ყოფილი ვარსკვლავი ვერ ზომავს და ბურთი კარს სცდება. დაღონებული ფეხბურთელი მუხლებზე ეცემა და ცარიელ კარს შესცქერის. ასეთი ედმუნდო არავის ახსოვს. ის მუდამ შემართული იყო.

და აი, გადის სამიოდე კვირა და ვითომც არაფერიო, ედმუნდო კვლავ აგრესიული ხდება. ამჯერად რა ჩაიდინაო? — იკითხავთ. არა, ავარიაში კაცი აღარ მოუკლავს, არც საბრალო ცხოველებს გამასპინძლებია ლუდით. წარმოიდგინეთ, გასალახადაც არავისკენ გაუწევია. უბრალოდ ადგა და საწვრთნელი ბაზის კარი (თუ ჭიშკარი) გაიჯახუნა. ეს ამბავი „პალმეირასის“ წინააღმდეგ უმნიშვნელოვანეს მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა („ვასკუმ“ 1:2 წააგო). ფეხბურთელის აღშფოთება მწვრთნელის გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომელმაც კაპიტნის სამკლავური სხვას გადაულოცა. ედმუნდოს იქნებ მოეთმინა კიდეც, ეს სხვა რომარიო რომ არ ყოფილიყო.

ედმუნდოს და რომარიოს, ორი ჩამქრალი ვარსკვლავის ურთიერთობა ცალკე საუბრის თემაა. ამ რამდენიმე თვის წინ რომარიოს „ფლამენგოდან“ „ვასკუ და გამაში“ გადაბარგებისას ეჭვი გაჩნდა, რომარიო კლუბს სარგებლობას კი მოუტანს, მაგრამ ედმუნდოს ვერ შეეწყობაო. ამის საფუძველი ადრევე არსებობდა. რომარიომ რამდენიმე წლის წინ რიოში ბარი გახსნა.

მას ბევრი არ უფიქრია და შესასვლელ კარზე ედმუნდოს კარიკატურა გააკრა. გამასხარავებული ფეხბურთელი აღშფოთდა და რამდენჯერმე ბარის მეპატრონესაც მიუვარდა, როგორ მიბედავო.

რომარიო ჭირვეულობით ედმუნდოს არ ჩამორჩება და არამეგობრული შარჟის პერსონაჟი პირჩალაგამოვლებული გაისტუმრა.

ფოტოზე ხელიხელგადახვეულ ყოფილ ვარსკვლავებს რომ ხედავთ, მათი დამეგობრება მოჩვენებითია. ეს ბოლო შემთხვევამაც დაადასტურა. კლუბმა ედმუნდო ათი დღით მოკვეთა და

ედმუნდო (№10) და რომარიო

შესაბამისად ხელფასიც დაუქვითა. თუმცა „ვასკუს“ პრეზიდენტი ანტონიო სუარეშ კალკადა ედმუნდოს თავიდან მოცილებაზეც ალაპარაკდა. საინტერესო ამბავიც შეგვიძლია გავიხსენოთ. ჯერ კიდევ რვა თვის წინ ედმუნდო „ფიორენტინაში“ თამაშობდა და ვიტორიო ჩეკი გორსაც გვარიანად აწვალებდა. ჩეკი გორმა ჭირვეული ფეხბურთელი კალკადას გადაულოცა. ეს უკანასკნელი კი დღეს გაიძახის, ვის გინდათ ედმუნდო, ვყიდიო. ფასი ასეთია — 15 მილიონი დოლარი. პრეზიდენტს ისიც უთქვამს, აღნიშნული თანხა თუ არ გაქვთ, სულ რაღაც 7,5 მილიონად მოგაქირავებთო. ანკესს „ლაციო“ და „ფლამენგო“ წამოეგნენ. „ლაციოს“ შეუთვლია, თუ გსურთ, 4 მილიონს ჩაგითვლით და ვარსკვლავი ერთი წლით დაგვითმეთო. „ვასკუ“ უარზე დადგა, რადგან „ფლამენგოს“ ვარიანტი უფრო სარფიანია, თუმცა ზუსტ თანხას არ ასახელებენ. თავად ფეხბურთელს გული „პალმეირასისკენ“ მიუწევს, მაგრამ სანპაულოელებმა შორს დაიჭირეს, „ფიორენტინას“ და „ვასკუს“ თავხედი აწყევლინა და ჩვენ რას გვიზამსო.

ჯერჯერობით სულ ესაა. გაგრძელება იქნება.

გიორგი დარჯანია

ესკობარის მკვლელობის საიდუმლო გაირკვა

ანდრეს ესკობარი

ანდრეს ესკობარის მკვლელობიდან თითქმის ექვსი წელი გავიდა. შემზარავი დანაშაული 1994 წლის 2 ივლისს მოხდა. კოლუმბიის ქალაქ მედელინის ერთ-ერთი ბარის წინ ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ანტიგმირი ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს. ანდრეს ესკობარი ბარში თანაგუნდელებთან ერთად იმყოფებოდა.

შედგა სასამართლო. ბრალდებულის სკამზე ვინმე უმბერტო მუზონ კასტრო იჯდა. განაჩენი მკაცრია — მკვლელს 43 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. საინტერესოა, რომ დანაშაულის მოტივი სულ სხვა ყოფილა. თავდაპირველი ვერსიით, მავანმა კოლუმბიელმა ფანებმა მკვლელობა შურისძიების მიზნით ჩაიდინეს. 1994 წლის 22 ივნისს ლოს ანჯელესში, „როუზ ბოულზე“, 93 ათასი მაყურებლის თვალწინ ანდრეს ესკობარმა 34-ე წუთზე ბურთი საკუთარ კარში შეაგდო და იმ მატჩში აშშ-მ კოლუმბიას 2:1 მოუგო. შედეგად კოლუმბიამ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთიშა. იყო მეორე ვერსიაც. ფეხბურთელს ავადსახსენებელ კოლუმბიურ ნარკოკარტელთან კავშირში ადანაშაულებდნენ და მკვლელობას ნარკობარონთა შეკვეთას მიაწერდნენ (შეგახსენებთ, რომ კოლუმბიის ნარკომაფიას მაშინ ანდრესის ბიძაშვილი პაბლო ესკობარი ხელმძღვანელობდა).

სასამართლოზე კი ჭეშმარიტება დადგინდა. უმბერტო კასტროს და ესკობარს ავტოსადგომზე ცუდად დაყენებულ მანქანის გამო შელაპარაკება მოუვიდათ, რაც საბედისწერო გასროლით დასრულდა.

კოლუმბიელთა მაშინდელ მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას, ვინაც დღეს პერუს ნაკრებს უდგას სათავეში, უთქვამს, ესკობარი იმიტომ დაიღუპა, რომ ცუდ დროს ცუდ ადგილას იმყოფებოდაო.

GhanaNigeria2000

აფრიკის თასი

განანიგერია-22 იანვარი 13 თებერვალი

რატომ არის წაგება კარგი?

ამბობენ, ინგლისელი გულშემატკივრები ყველაზე აგრესიულები არიანო — მცდარი აზრია

ნახევარფინალები, მატჩი მესამე ადგილისთვის, ბოლოს ფინალიც და აფრიკის თასის გათამაშებაც დასრულდება. პირველობისთვის ბრძოლას ოთხი გუნდიღა შემორჩა. დანარჩენი თორმეტი შინ მშვიდობიანად გაემგზავრა და თუ რაიმე გასარკვევგასარჩევი აქვთ, სამშობლოში მშვიდად იმსჯელებენ. აი, ნიგერიელებს კი წასასვლელი არსად აქვთ, ისინი ხომ ტურნირის მასპინძლები არიან. ამიტომაც ნაკრების უღიმღამო თამაშის მიზეზების ძიება იქვე, შეჯიბრის მსვლელობისას უხდებათ.

„სუპერარწივთა“ ნახევარფინალში გასვლის მიუხედავად, გუნდს აშკარად რაღაც აკლია. ჩატარებული ოთხი მატჩიდან ნიგერიელებმა ორი ფრედ დაასრულეს (ძირითად დროში), თანაც არცთუ ძლიერ მეტოქეებთან. „სუპერარწივებისგან“ გულშემატკივრები მხოლოდ მოგებას ელიან. ამ მოთხოვნას ახსნაც მოეძებნება. „ბენფიკა“, „ჩელსი“, „მილანი“, „იუვენტუსი“, ჰსუ, „ბეტისი“, „აიაქსი“, „დორტმუნდი“, „არსენალი“, „ბარსელონა“, „ბარი“ — აი, ის კლუბები, სადაც ნიგერიელი ფეხბურთელები თამაშობენ. საფიქრალ-გასაანალიზებელი იქნებ მართლაც ბევრი იყოს, მაგრამ ეს ქომაგთა საქციელს არაფრით ამართლებს.

23 იანვარი, ნიგერია — ტუნისი, 4:2. პირველი გამარჯვების შემდეგ სტადიონზე მისულმა ნიგერიელმა ფანებმა სიხარული მეტად უცნაურად გამოხატეს. ისინი ჯერ სკამებს დაერივნენ, ქუჩებში გასულებმა კი მანქანებს და მაღაზიების ვიტრინებს შეუტიეს. პოლიციას მათ დასაწყნარებლად ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოუხდა. აფრიკის ფეხბურთის ასოციაციას ამ საკითხზე არ უმსჯელია.

28 იანვარი, ნიგერია — კონგო, 0:0. როგორც წინა ეპიზოდიდან ჩანს, ნიგერიელთა გამარჯვება ქომაგებს აგრესიულებს ხდის. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გუნებაზეც იქნებოდნენ ისინი აუტსაიდერ კონგოსთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ. კვლავაც ბევრი სკამი დაილეწა, ხოლო შეშინებული „სუპერარწივები“ გასახდელში საცოდავად შეიყუჟნენ. საქმეში ამჯერადაც პოლიცია და ცრემლსადენი გაზი ჩაერია. ფეხბურთის ასოციაციამ ახლა კი გაარჩია მომხდარი, მაგრამ სასჯელი უფრო სიმბოლური იყო — ორი ათასი დოლარი ჯარიმა.

3 თებერვალი, ნიგერია — მაროკო, 2:0. საოცარია, რომ მატჩის დასრულებას ქომაგები მშვიდად შეხვდნენ და შინ [illegible]ცესების გარეშე წავიდნენ.

7 თებერვალი, ნიგერია — სენეგალი, 2:1 დ.დ. (1:1). აგრესიამ ახალი ძალით იფეთქა. მე-6 წუთზე ბურთი ნიგერიელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. ტურნირის მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 84-ე წუთზე მოახერხეს. 60 ათას აღშფოთებულ გულშემატკივარს ცოტაღა აკლდა და... მოსახდენი დამატებითი დროის მეორე წუთზე მოხდა, რაც კურიოზულმა გაუგებრობამ გამოიწვია. ჯულიუს აგაოვას გოლი მაყურებელთა სოლიდურმა ნაწილმა „ოქროს გოლად“ ჩათვალა. არადა, შეჯიბრის რეგლამენტით, ეს წესი არ მოქმედებს. არბიტრმა თამაშის ცენტრიდან განახლება ბრძანა და დაიწყო... ფეხბურთელები ცრემლსადენ გაზს (ნიგერიული ფეხბურთის განუყოფელ ატრიბუტს), რომელმაც სტადიონის თავზე გვარიანი ბუღი დააყენა, გასახდელში განერიდნენ. მათი იქიდან გამოყვანა ორგანიზატორებმა ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარის შემდეგ შეძლეს. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის ბოსები კვლავ შემოუსხდნენ მაგიდას და ამჯერადაც ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, დანაშაულის სიმძიმეს რომ არ შეეფერება — ათი ათასი დოლარი ჯარიმა. არადა, უფრო სამართლიანი იქნებოდა, ნიგერიელთა მომდევნო მატჩები ცარიელი ტრიბუნების წინ გამართულიყო.

ახლა კი მივუბრუნდეთ კითხვას, თავშიც რომ დავსვით — რატომ არის წაგება კარგი? სენეგალელთა გერმანელი მწვრთნელი პეტერ შნიტგერი ამბობს: „ვფიქრობ, კარგიცაა, ნიგერიამ რომ მოიგო. შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ რომ დასრულებულიყო, იქნებ დღეს ცოცხლებიც არ ვყოფილიყავით“. ნიგერიელთა კარში გოლის გამტან კალილუ ფადიგას კი უთქვამს: „ყველამ დაინახა, რომ ფეხბურთის თამაში შეგვიძლია. ამას უპირველესად ნიგერიელთა გასაგონად ვამბობ. მათ იოლი მოგების იმედი ჰქონდათ“. მაროლაც, სენეგალელი ფეხბურთელები სამშობლოში თავაწეულნი დაბრუნდნენ. მათ მეოთხედფინალამდე მიაღწიეს, სადაც „სუპერარწივების“ გარდა 60 ათას ქომაგთანაც მოუხდათ ბრძოლა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ნიგერიელი ფეხბურთელები? ისინი გამარჯვებით ხარობენ და ნახევარფინალისთვის ემზადებიან. თუმცა ზოგიერთები უკმაყოფილებასაც გამოთქვამენ. ჯორჯ ფინიდი: „ისეთი ამბები ხდება, რომ ძალიან მეშინია. ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“.

ფინიდის მწარედ ახსოვს 1995 წელი. მაშინ მისი უმცროსი ძმა, ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იგენივარი ფინიდი ერთ-ერთი მატჩის დროს სასიკვდილოდ დაჭრეს.

გიორგი დარჯანია

ნიგერიელი... და სენეგალელი... ბურთს მისდევენ. რამდენიმე წუთში ისინი გასახდელისკენ გაიქცევიან

ბარსელონა-რეალის ნეოეპოქა

ლუის ვან გაალი

ესპანური ფეხბურთის ორი მოსისხლე მტრის — „რეალისა“ და „ბარსელონას“ ისტორიული დაპირისპირება უკვე კარგა ხანია, მწვანე გაზონსა და საფეხბურთო საზღვრებს გასცდა. მოქიშპე „რეალისა“ და „ბარსელონას“ ქომაგთა ხმამაღალ შელაპარაკებას დღეს ლამის ყველა ქუჩაზე გაიგონებთ (თუნდაც თბილისში...) „რაული სჯობს შენს ფიგუს, — „რას მიედ-მოედები, ვერ ხედავ, რივალდომ ოქროს ბურთი აიღო“ — და სხვა მრავალი...

ახალი, ცივილური ეპოქის დადგომასთან ერთად კი დაპირისპირებამ კომპიუტერულ ქსელშიც შეაღწია...

ერთმანეთის მოძულე მადრიდელ და კატალონიელ ფანებს ღვარძლის გადმოსანთხევად წელიწადში ორჯერ — „სანტიაგო ბერნაბეუსა“ და „კამპ ნოუზე“ თავშეყრა აღარ ჰყოფნიდათ, ამიტომ საკმაოდ იოლ გამოსავალს მიაგნეს.

ინტერნეტი ანუ მსოფლიოს საინფორმაციო ქსელი, ადგილი, სადაც არაფერია შეზღუდული. წელიწადის ნებისმიერ დროს, მზიან, ქარიან თუ წვიმიან ამინდში, ნებისმიერი აზრის მტრისა თუ მოყვარისთვის თავისუფლად გაზიარება შეგიძლიათ.

მადრიდის „რეალის“ კომპიუტერის საკმაოდ კარგად მცოდნე ფანსაც რაღა შეაჩერებდა, „ბარსელონას“ პერსონალურ გვერდზე უკანონო გზით შეაღწია და დააზიანა. შედეგად „ბარსას“ გვერდი რამდენიმე საათით მწყობრიდან გამოვიდა.

საპასუხო დარტყმა ახლა ბარსელონელებზეა... მოკლედ, ნუ გაიკვირვებთ, თუ პასტა-ფურთელ-ტრანსპორტირიან კატალონიელთა თავკაც ლუის ვან გაალს თებერვლის ბოლოს „რეალთან“ მატჩში კომპიუტერით აღჭურვილს იხილავთ.

ვაჟა ლომიძე

ნიჭის ვულკანი ტურინში

„იუვენტუსმა“ ახალი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის ხელმძღვანელობით კვლავ იტალიის ჩემპიონის ტიტულზე, სკუდეტოზე გაილაშქრა, მაგრამ ამჟამად თქვენს ყურადღებას სხვა „იუვენტუსსა“ და სხვა სკუდეტოს მივაპყრობთ. საუბარია ტურინელთა ახალგაზრდულ შემადგენლობაზე, რომელმაც პარმელ თანატოლებთან 2:1 მოგების შემდეგ ლიდერს, „ფიორენტინას“ მდევრის სუნთქვა აგრძნობინა. აქამდე ფლორენციელებს კონკურენტი არ ჰყავდათ.

„პარმასთან“ ხსენებულ შეხვედრაში ორივე გოლი ტომას გუსმანმა გაიტანა. პირველ ტაიმს „იუვენტუსი“ აგებდა.

იუვენტუსელთა მწვრთნელი, ჯამპიერო გასპერინი გუსმანის თამაშით ერთობ კმაყოფილი დარჩა. მან ხომ ახალგაზრდულ ლიგაში მაშინ გაიბრწყინა, როდესაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო, როდესაც გუნდი აგებდა, „ფიორენტინამ“ კი პერუჯაში 1:3 იწვნია.

„იუვენტუსის“ შეფებმა ერთხელაც მიაპყრეს იმედიანი მზერა თავიანთ პარაგვაელ მონაპოვარს. შესვენების დამთავრებიდან ათი წუთის შემდეგ იგი მოედანზე შევიდა და... დახეთ შედეგს: გუსმანს გუნდში სულ 60 წუთი აქვს ნათამაშევი და ამ ხანში ოთხი გოლის შედგება მოასწრო.

იგი მარტში 18 წლისა გახდება, ასე რომ, გასპერინის გაკვეთილების შესათვისებლად დრო მართლაც რომ ბევრი აქვს. გასპერინი თავის მხრივ ამბობს, რომ პარაგვაელი „ჯადოსნური ნიჭით დაჯილდოვებული ჭკვიანი ახალგაზრდაა. მას მხოლოდ საკუთარი თავის რწმენის გამომუშავება სჭირდება, რადგან იტალიაში ფეხბურთს გაცილებით სწრაფად თამაშობენ, ვიდრე სამხრეთ ამერიკაში“.

ახლა ახალგაზრდა იუვენტუსელებს ორი ძნელი მატჩი ელით, შინ „ბოლონიასთან“ და სტუმრად „ფიორენტინასთან“. ამის შემდეგ გუნდი პრესტიჟულ, ყოველწლიურ ტურნირზე ვიარეჯოში გაემგზავრება.

გუსმანი გუსმანად და გასპერინის სხვებიც ეიმედება. ერთია მალატესტა, მეორე კი ენცო მარესკა, რომელიც ტურინში ჩასვლის წამიდან კარლო ანჩელოტის საგანგებო ყურადღების ქვეშ მოექცა და დიდ გუნდთან შეუდგა ცხოვრებას.

„ნეტავ მარესკა მომავალი ოთხი მატჩიდან ერთში სათამაშოდ მაინც გამოუშვან — ამბობს გასპერინი — მინდა, რომ ვიაჯეროში წასვლამდე მან თანაგუნდელები გაიცნოს. ბოლოს და ბოლოს მას ამ ბიჭებთან დიდი ხნით მოუწევს ურთიერთობა. ეს ახალი ფეხბურთელები თავდამსხმელები გახლავან და მსურს განვაცხადო, რომ შეტევაში საქმე ასარჩევად მაქვს, დაცვაში კი ცოტა მოვიკოჭლებთ“.

ლეგენდამ ლეგენდაზე თქვა

გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ, ფრანც ბეკენბაუერმა არგენტინული ფეხბურთის ლეგენდას, დიეგო მარადონას მხარი დაუჭირა და საზოგადოდაც განაცხადა, ყველამ ხელი გამოვიღოთ ცხოვრებისგან ნაგვემმა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით რომ დაასრულოსო.

რატომ გაახსენდა „კაიზერ ფრანცს“ დიეგო არმანდო? იმიტომ, რომ ვიზიტად გახლავთ არგენტინაში, სადაც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მხარდაჭერას ითხოვს და ეძებს.

„საფეხბურთო სამყარო ვალდებულია მარადონას, მისი ცხოვრების ურთულეს ეტაპზე მხარი დაუჭიროს. მას ხომ ჩვენი სახეობისთვის განუზომელი რამ აქვს მიცემული“ — განაცხადა 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა (ფეხბურთელმა) და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა (მწვრთნელმა).

მოგეხსენებათ, დიეგო მარადონა ამჟამად კუბაშია, სადაც ჰავანის მახლობლად მდებარე კლინიკაში კოკაინის ყნოსვით გამოწვეულ გულის დაავადებასა და თავად მავნე ჩვევას მკურნალობს.

„როგორც ფეხბურთელი, მარადონა ყოველთვის სამაგალითო გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ ნარკომანობამ მის წინააღმდეგ მრავალი აამხედრა“ — დასძინა „კაიზერმა“ და ამით იმ არგენტინელებს ასიამოვნა, რომლებიც დიდ დიეგოს თაობათა გამრყვნელად მიიჩნევენ.

მოკლედ, კაცს ხმები სჭირდება.

ფრანც ბეკენბაუერი

ლაციომ რაულიც მოინდომა

ვარსკვლავთმრიცხველი რომის „ლაციო“ მადრიდის „რეალის“ „ოქროს ბიჭუნა“ რაულ გონსალეს დე ბლანკოთი დაინტერესდა. ესპანური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ლაციო“ რაულის გადაბირებას მომავალი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დასრულების შემდეგ გეგმავს, მის სანაცვლოდ კი 25 მილიონი გირვანქის (დაახლოებით 40 მილიონი დოლარი) გადახდას აპირებს.

ამ ცოტა ხნის წინ თავად რაულმა განაცხადა, რომ „რეალს“ არასდროს დატოვებს და მთელი თავისი კარიერის სამეფო კლუბში გატარებას აპირებს. ისიც ცნობილია, რომ ფეხბურთელი „სანტიაგო ბერნაბეუს“ კერპია. 23 წლის რაული 14 წლის ასაკიდან „რეალის“ რიგებში ირიცხება. საინტერესოა, შეელევა თუ არა ლორენცო სანსი თავის „ოქროს ბიჭუნას“. რაულს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ მართლაც უმაღლესი კლასის ფორვარდი და პროფესიონალია. ეს განსაკუთრებით მიმდინარე სეზონში გამოჩნდა, როცა მან შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე გატანილი გადამწყვეტი გოლებით „რეალს“ გამარჯვებები მოუტანა.

ნიკა შუბლაძე

ფეხბურთის რუკასთან

იტალიის ჩემპიონ „მილანს“ „რომას“ ფორვარდის, ფრანჩესკო ტოტის შეძენა სურს. „მილანს“ სეზონის ბოლოს, ალბათ ხორვატი ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი დატოვებს, მის შემცვლელად კი ბერლუსკონის სწორედ ტოტი ესახება. ტრანსფერის შესაძლო ღირებულებაზე ჯერჯერობით არაფერი თქმულა. აღსანიშნავია, რომ ტოტი რომაულ კლუბში 12 წლის ასაკიდან ირიცხება. გუნდთან მიმდინარე კონტრაქტის ვადა მას 2003 წლის ივნისში ეწურება. დაირხა ხმები, თითქოს იტალიის ნაკრების ფორვარდის შეძენას ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედიც“ გეგმავდა, თუმც ამის თაობაზე ჯერჯერობით არავითარი ოფიციალური მოლაპარაკება არ გამართულა.

ინგლისურმა „ლივერპულმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელი ფორვარდის — ხორდი კრუიფის შეძენის სურვილი გამოთქვა, თუმცა ლეგენდარული „მფრინავი ჰოლანდიელის“, იოჰან კრუიფის ვაჟის „ლივერპულში“ გადასვლაზე „მანჩესტერის“ თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა სასტიკი უარი განაცხადა. „მანჩესტერისა“ და „ლივერპულის“ ისტორიული დაპირისპირება საქვეყნოდ არის ცნობილი. გუნდებს 1970 წლის შემდეგ ერთმანეთში არც ერთი სატრანსფერო შეთანხმება არ განუხორციელებიათ. სერ ალექსის მკაცრი უარიც სწორედ ამან განაპირობა.

რუსეთის ჩემპიონმა, მოსკოვის „სპარტაკმა“, ყოფილი კაპიტანი ილია ციმბალარი შემოირიგა. შარშან ოქტომბერში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, „ბორდოსთან“ 2:1 დამარცხების შემდეგ ფეხბურთელს გუნდთან კომფლიქტი მოუვიდა და მას შემდეგ აღარც უასპარეზია. „რამდენიმე ხელსაყრელი შეთავაზება ისრაელისა და თურქეთის წამყვანი კლუბებიდან მივიღე, მაგრამ ორი დღის წინ „სპარტაკის“ მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა დამირეკა და გუნდში დაბრუნება შემომთავაზა“ — განაცხადა 30 წლის რუსმა ნახევარმცველმა. რუსული პრესის ცნობით, რომანცევმა ციმბალარი თურქეთში, „სპარტაკის“ წინასაჩემპიონატო შეკრებაზე მიიწვია.

ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედი“ შოტლანდიელ სტეფან გლასს გაყიდვას უპირებს. ორი წლის წინ „კაჭკაჭთა“ ყოფილი თავკაცის, კენი დალგლიშის მიერ შეძენილი გლასი მომდევნო მწვრთნელის, რუუდ გულიტის გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც ხვდებოდა, ხოლო „ნიუკასლში“ ბობი რობსონის მოსვლის შემდეგ საბოლოოდ დაკარგა ადგილი. 23 წლის ნახევარმცველის ღირებულება გუნდს ჯერჯერობით არ დაუსახელებია.

ინგლისური „ვესტ ჰემის“ იტალიელი ფორვარდი პაოლო დი კანიო 15 იანვარს „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ მატჩში გამოყენებული უბამი ჟესტისთვის ალბათ სამაგალითოდ დაისჯება. ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ცნობით, საბოლოო განაჩენს ვიდეოფირის ნახვისა და შემთხვევის გულდასმით შესწავლის შემდეგ გამოიტანენ.

უკრაინის მეორე დივიზიონის გუნდ ჟიტომირის „პოლესიეს“ პრეზიდენტი ზაია ადვიში გადასახადების დამალვის გამო დაჯარიმეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს კლუბების მიერ თანხის დამალვის მეორე შემთხვევა გამოვლინდა. გასულ თვეში უკანონო ქმედებაში პირველდივიზიონელ სიმფეროპოლის „ტავრიას“ პრეზიდენტი რუვიმ აარონოვი ამხილეს.

გერმანული ბერლინის „ჰერტას“ მმართველთა შეკრებაზე თავმჯდომარე რობერტ შვანმა განაცხადა, რომ მას მოკვლით დაემუქრნენ. „ანონიმური სატელეფონო ზარით ვიღაცამ ჩემს მდივანს შეატყობინა, რომ თუ არ გადავდგები, მომკლავენ. არავის მივცემ უფლებას, შემაშინოს“ — განაცხადა 78 წლის შვანმა, რომელმაც გამაფრთხილებელი ზარის შემდეგ ორი პირადი მცველი დაიქირავა.

გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის“ კომერციულმა დირექტორმა ული ჰიონესმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ორი წლის შემდეგ გადადგება. „ორი წლის შემდეგ 50 წლის ვიქნები და სამუშაოსაც თავს დავანებებ. სადმე წყნარ ვილაში დავსახლდები და ჩემს მეუღლეს სიუზისთან ერთად გოლფს ვითამაშებ“.

იტალიის ვიცე-ჩემპიონ „ლაციოს“ იუგოსლავიელი მცველი სინიშა მიხაილოვიჩი სერია A-ს უკანასკნელ ტურში ჩადენილი უმსგავსო საქციელისთვის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიხაილოვიჩი ტორინოელ მარკო ფერანტეს ეუხეშა, რის გამოც 79-ე წუთზე მოედანი ნაადრევად დატოვა. იუგოსლავიელს ორი საკმაოდ პრინციპული შეხვედრის გამოტოვება მოუწევს — მომავალ ტურში რომაელები „პარმას“ უმასპინძლებენ, ხოლო შემდეგ ჩემპიონ „მილანს“ ესტუმრებიან.

გერმანიის ნაკრებისა და „მილანის“ ფორვარდი ოლივერ ბირჰოფი ბუნდესლიგას აკრიტიკებს. „ბუნდესლიგა წამყვან ლეგიონერთა ინტერესს აღარ იწვევს, რადგან ხელფასები და სატრანსფერო თანხები იქ გაცილებით ნაკლებია. ამგვარი მომჭირნეობა გერმანულ ფეხბურთს სასიკეთოდ არ წაადგება. კლუბების ხელმძღვანელებს სერიოზული დაფიქრება მართებთ“ — განაცხადა ბირჰოფმა და აქვე დაამატა: „ერთადერთი კლუბი, რომელსაც ეს ნაკლებად ეხება, მიუნხენის „ბაიერნია“. შედეგიც სახეზეა, გუნდი ნებისმიერი ევროტურნირის ფავორიტად ითვლება“.

ესპანურ მადრიდის „ატლეტიკოში“ მოასპარეზე ჰოლანდიელი თავდამსხმელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი უახლოეს მომავალში შესაძლოა ლონდონის „ტოტენჰემში“ აღმოჩნდეს. ინგლისური კლუბის თავკაცმა ჯორჯ გრემმა განაცხადა: „ჯიმის შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცი. ის საკმაოდ მაღალი კლასის ფორვარდია. ვისურვებდი, მას „ტოტენჰემში“ ეთამაშა.“ ლონდონური კლუბის ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი, სტეფან ივერსენი ამ დღეებში საკმაოდ მძიმედ დაშავდა და დაახლოებით ორ თვეს ვერ იასპარეზებს. მთავარი მწვრთნელი მის შემცვლელს ეძებს. აღსანიშნავია, რომ ჯორჯ გრემი ჰასელბაინკს მართლაც საკმაოდ კარგად იცნობს. როცა იგი „ლიდსის“ თავკაცად მუშაობდა, ჰასელბაინკი პორტუგალიურ „ბოავიშტაში“ თავად აღმოაჩინა და 2 მილიონ გირვანქად ინგლისურ კლუბში გადაბირა, სადაც ჰოლანდიელმა საკმაოდ წარმატებით იასპარეზა. ამის შემდეგ იგი მადრიდის „ატლეტიკოში“ მოხვდა.

[redacted] საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო ნაციონალიზმი ინგლისში

„ლივერპულის“ მწვრთნელმა, ჟერარ ულიემ ინგლისური ფეხბურთის ჩინოსნებს უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობის შეზღუდვასთან დაკავშირებული გეგმები დაუწუნა. თავად ფრანგ სპეციალისტს გუნდში ოთხი არაევროკავშირელი ჰყავს და სწუხს, რომ ბოლო დროს ასეთთა რიცხვის ორამდე შემცირებაზე დაიწყეს ლაპარაკი.

უცხოელთა საწინააღმდეგო კამპანიას ერთი აზრი აქვს — ადგილობრივ ახალგაზრდებს უმაღლეს დონეზე თამაშისკენ გაუხსნან გზა, მაგრამ ულიე, როგორც მოგახსენეთ, სხვა აზრსაა:

„ასეთი გადაწყვეტილების იოლად მიღება არ შეიძლება. არის კლუბები, რომელთაც სამი-ოთხი არაევროკავშირელი ფეხბურთელი ჰყავთ, ხოლო თუ ადამიანი სამსახურში აგყავს, მერე მასთან თოჯინასავით თამაში დაუშვებელია“.

უცხოელთა რაოდენობის შემცირების მომთხოვნთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კევინ კიგანი გახლავთ. ას თავისი საწუხარი აქვს, ეროვნულ გუნდში მომზადებული ფეხბურთელები სჭირდება, ამისათვის კი პრემიერლიგაში ინგლისელები უნდა თამაშობდნენ და არა საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილები. მაგრამ ულიე პრობლემას სხვა კუთხით უყურებს. დღევანდელი კანონმდებლობის თანახმად ალბონზე, გუნდს, სათადარიგოთა ჩათვლით, თამაშის განაცხადში სამი არაევროკავშირელი შეიძლება ჰყავდეს შეყვანილი, მათი რიცხვის შემცირება კი, ფრანგის აზრით, სირთულეებს გამოიწვევს.

„დღეისათვის ინგლისში საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ აქაური ბაზარი დანარჩენი მსოფლიოს ბაზრისგან ძლიერაც განსხვავდება. აქ, ბევრ გუნდს არაევროკავშირელ მოთამაშეებთან მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს დადებული. ზოგი კონტრაქტი, მაგალითად, ოთხწლიანია. რა უნდა მოვუხერხოთ ამ ადამიანებს? მათთვის ერთი ხელის დაკვრით ცხოვრების და კანონის შეცვლა ხომ შეუძლებელია“.

ულიესთვის პრობლემა განსაკუთრებით კარგადაა ნაცნობი. აკი მოგახსენეთ, „ლივერპულში“ ევროკავშირის გარე ქვეყნებიდან ოთხი ფეხბურთელი თამაშობს: შვეიცარიელი სტეფან ენჩოსი, ჩეხები ვლადიმირ შმიცერი და პატრიკ ბერგერი და ამერიკელი მეკარე ბრედ ფრიდელი. ამათგან ფრიდელი გამოუყენებელია, ვინაიდან ულიეს მანამდე ხსენებული სამეული უფრო სჭირდება.

მდგომარეობას კიდევ ის ხლართავს, რომ ინგლისში მრავლად თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებიდან არ არიან, მაგრამ ევროპული პასპორტი აქვთ. ასეთებს ბრიტანეთში სამუშაოს უფლებას არ სთხოვენ.

ხსენებულთა შორის 18 ნორვეგიელი და ოთხი ისლანდიელია, რომლებიც უმაღლეს დონეზე, პრემიერლიგაში გამოდიან. მოგეხსენებათ, როგორც ნორვეგია, ასევე ისლანდია არ არის ევროკავშირში და, შესაბამისად, მათ მიმართ ევროპული ეკონომიკური ზონის კანონები მოქმედებს ანუ მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების პრინციპის თანახმად ნორვეგიელსა და ისლანდიელს ინგლისიდან ვერავინ გააგდებს.

„ლივერპულს“ ბევრი სხვა კლუბის მსგავსად აფრიკელი მოთამაშეებიც ჰყავს: კამერუნელი რიგობერტ სონგი და გვინეელი ტიტი კამარა, ორივე ფრანგული პასპორტით. მათი მსგავსი სტატუსითაა შავი კონტინენტის ბევრი სხვა წარმომადგენელიც. გარდა ამისა ხელშეუხებელნი გახლავან ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების მოქალაქე ფეხბურთელებიც. მაგალითად, ჰარი კიუელი, მარკ ბოსნიჩი, დუაიტ იორკი, აბელ სავიერი და შაკა ჰისლოპი.

სამხრეთ ამერიკელები ესპანური, პორტუგალიური და იტალიური პასპორტებით მანიპულირებენ. ყოველივე ამასთან დაკავშირებით ულიე ამბობს:

„გამოდის, რომ შეიზღუდებიან აღმოსავლეთ ევროპელი და სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ნაწილის წარმომადგენლები. რა შეიძლება ამაზე ითქვას? ფეხბურთი ბიზნესია, მომგებიანი საქმე, და თუ ასეა, მაშინ აქცენტი საუკეთესოებზე უნდა გაკეთდეს. ჩვენ ეწრწესი, ბერგერი, შმიცერი და ფრიდელი გვყავს. ფრიდელი უთუოდ გახლავთ ძირითადში თამაშის ღირსი, მაგრამ დღეს ამის საშუალება არ ეძლევა“.

მოკლედ, ხანგძლივი კონტრაქტების პატივისცემის, მუშაობის უფლების და სხვა მსგავსი პრობლემების გამო დღევანდელი ვითარების ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში შეცვლის საშუალება, არ ჩანს. ალბათ, ჯერ უკვე დადებულ ხელშეკრულებებს უნდა გაუვიდეს ვადა.

შეშფოთება ცნობილმა აგენტმა, რამდენიმე არაევროკავშირელის ინგლისში ჩამყვანმა, პოლ სტრეტფორდმაც გამოთქვა.

„არსად მინახავს ასეთი მნიშვნელოვანი კანონის ერთი ხელის დაკვრით შეცვლა. თუ იდეის ავტორები თავისას არ დაიშლიან, სერიოზულ სირთულეებს გამოიწვევენ და ფეხბურთელებიც იძულებულნი შეიქნებიან სასამართლოს მიმართონ“ — ბრძანა მან.

მიხეილ სურგულაძე

ჟერარ ულიე

აბუბაქარ ტიტი კამარა

ტიტი — ძალიან პატარა

აბუბაქარ, იგივე ტიტი კამარა „ლივერპულში“ „მარსელიდან“ გადასული გვინეელი ფეხბურთელია, რომელიც პრემიერლიგის გუნდში თვით რობი ფაულერისა და მაიკლ ოუენის კონკურენციას არ ეპუება. მან ევრობაში ფრიად გაითქვა სახელი. გულშემატკივარს შესაძლოა კონტინენტზე, პროფესიულ დონეზე მოთამაშე ათასობით ფეხბურთელის გვარი არ ახსოვდეს, მაგრამ კამარა ახსოვს და ეს უთუოდ დიდი წარმატებაა, მით უმეტეს გვინეელისთვის.

— თქვენი სამშობლო, გვინეა, პროფესიონალ ფეხბურთელთა აღზრდით ვერ დაიკვეხნის. სად ისწავლეთ თამაში, სად აიდგით ფეხი?

— ბავშვობაში, სკოლისგან თავისუფალ დღეებში, ქუჩებსა და ხრიოკ მდელოებზე ვთამაშობდით. ბურთებს ან თავად ვაკეთებდით ანაც მის მაგივრობას ფორთოხალი გვიწევდა. დიდი ვერაფერი მატჩები გამოგვდიოდა, მაგრამ თავად ქვეყნისთვის გახლდათ მნიშვნელოვანი მისი ბავშვები სპორტს რომ მისდევდნენ. იცით, განვითარებადი ქვეყნები ბევრს იძენენ, თუ მათი ახალგაზრდობა სპორტს მისდევს. სპორტსმენები ცოტა ფულს შოულობენ და ოჯახების მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფა შეუძლიათ.

— და თქვენ ცხოვრებაში პირველ ადგილზე ბურთი დააყენეთ. რატომ?

— ფეხბურთელობისკენ მამაჩემმა მიბიძგა. ჩემს ოჯახში ყველას უყვარდა სპორტი, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მე შევძელი უმაღლეს დონეზე გამოსვლა. თავიდან დედაჩემი სხვა აზრისა იყო, უნდოდა სწავლა გამეგრძელებინა, ოღონდ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, იძულებვლი გახდა დათმო. მხარი ოჯახის სხვა წევრებმა დამიჭირეს.

— დარწმუნებული იყავით, რომ ვარსკვლავი გახდებოდით?

— ყმაწვილკაცობაში არასდროს მიფიქრია, რომ პროფესიონალი გავხდებოდი და უმაღლესი რანგის ფეხბურთელთა მარაქაში გავერეოდი. ეს მერე მოხდა, როდესაც საფრანგეთში ჩავედი და გარკვეულ ხალხს დავუკავშირდი. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ დიდი მონდომებისა და შრომის შედეგად შევძლებლი დიდ სიმაღლეზე ასვლას, რადგან საამისოდ მონაცემები მქონდა.

— გასულ ზაფხულს „ლივერპულთან“ კონტრაქტს რომ აწერდით ხელს, რას ფიქრობდით, გწამდათ, რომ პრემიერლიგაში იოლად გაიკაფავდით გზას?

— როდესაც ეს ამბავი გაირკვა, საფრანგეთში ბევრმა მითხრა რობი ფაულერისა და მაიკლ ოუენის გუნდში ადგილის დამკვიდრება გაგიჭირდებაო. მეც ვაცნობიერებდი, რომ დიდ სირთულეებთან მომიხდებოდა შეჯახება, თუმცა აი, ინგლისში ვარ და ვხედავ, რომ ყოველი შეხვედრის შემდეგ მეტად ვუღებ პრემიერლიგურ ფეხბურთს ალღოს, მეტად ვეგუები ამ ქვეყნის საფეხბურთო სტილს.

— „ლივერპულში“ გადასვლის შემდეგ ადგილობრივ ქომაგებთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?

— ლივერპულელი ფანები საუცხოოდ მომეპყრენ. იცით, „მარსელში“, იქაური ქომაგების გულის მოგებას დრო დასჭირდა, ინგლისში კი პირველივე დღიდან თანადგომა ვიგრძენი. დიდებულია, მართლაც დიდებული, პირველივე სეზონში ასე რომ გაგიიოლებენ საქმეს. ამიტომაც მინდა მოედანზე ჩემი შესაძლებლობების 200 პროცენტი გამოვავლინო. მაიკლ ოუენისა და რობი ფაულერის კონკურენციის არ მეშინია, უბრალოდ ჩემი შანსი მინდა გამოვიყენო.

— თავიდან თქვით, რომ ფეხბურთელობისკენ მამამ გიბიძგათ. მან, ალბათ, თქვენზე დიდი გავლენა იქონია.

— მამაჩემი საუცხოო ადამიანი იყო. ის ყოველთვის მამხნევებდა და მხარში მედგა, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმეები მთლად კარგად არ მიდიოდა. დღეს ცხოვრებაში ჩემი ადგილი რომ მაქვს, მისი დამსახურებაა.

— მამათქვენი შარშან გარდაიცვალა, თქვენ კი ეს სამწუხარო ცნობა რომ შეიტყვეთ, „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ სათამაშოდ მოედანზე გახვედით და გამარჯვების გოლიც გაიტანეთ. ალბათ, ძალიან ძნელი იყო...

— ძნელი გახლდათ, მაგრამ გამიმართლა და გოლი გავიტანე, რამაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ემოციური დღე შვა. მამაჩემი თავის დროზე კენიაში ელჩი იყო. ბოლოხანს ავადმყოფობდა და მის გარდაცვალებამდე ერთი კვირის მანძილზე ძლიერ ვნერვიულობდი, ოღონდ თანაგუნდელების ღალატი ვერ დავუშვი და დავიჩემე, უნდა ვითამაშო-მეთქი.

— დაბოლოს, თქვენს სახელზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა.

— ტიტი უფროსმა დამ შემარქვა, როდესაც თავად ბალღი გახლდათ. ერთხელ, დედაჩემი სამსახურიდან დაბრუნებულა და ჩემთვის tout petit მოუმართავს, რაც ფრანგულად ძალიან პატარას ნიშნავს და ტუ პიტი გამოითქმის, უფროს დას კი tout petit სწორად ვერ გაუმეორებია და ტიტი გამოსვლია. მას მერე ეს სახელი შეშრჩა. გვინეაში რომ ჩავდივარ, აბუბაქარად არავინ მიცნობს, ყველა ტიტის მეძახის.

თარგმნა პაპუნა კედია

ჩვენ უნიჭონი, თქვენ ნიჭიერნი

„ლივერპულში“ მოთამაშე გერმანელი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი ინგლისელთათვის საამბელ სიტყვას ამბობს — თქვენ ჩვენთან შედარებით გაცილებით ნიჭიერი ახალგაზრდობა გყავთო.

ყველაზე მეტად ჰამანი, ალბათ, თანაგუნდელ სტივენ ჯერარდს გულისხმობდა, რომელიც, მისი აზრით, ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად გახდება ინგლისის ნაკრების კაპიტანი. გერმანელი დარწმუნებულია, რომ ჯერარდს ეროვნულ გუნდში სულ მალე ვიხილავთ.

„ჩემს ქვეყანაში კი სერიოზული პრობლემებია, რაც იმით გახლავთ განპირობებული, რომ 24 წელზე უმცროს ფეხბურთელთა შორის ნიჭიერები ფაქტობრივად არ არიან. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე ახალგაზრდად მე ვითვლებოდი, არადა 25 წლისა გახლდით.

გერმანელებს 10-11 წლის წინ მართლაც გვყავდა დიდი მოთამაშეები, მერე კი. მთელი ხუთი წლის განმავლობაში, ნაკრებში ერთი ახალწვეულიც არ გამოჩენილა. ამაზე დიდი ზრუნვა გვმართებს.

ზოგადად, მწამს, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის სასარგებლოა, როდესაც მისი ნაკრების წევრები საზღვარგარეთ თამაშობენ, სადაც დიდ გამოცდილებას იძენენ“ — დასძინა ჰამანმა და საუბარი თანამემამულე მარკუს ბაბელზე გადაიტანა, რომელიც მომავალი სეზონიდან მასთან ერთად ითამაშებს „ლივერპულში“.

„მარკუსის ყიდვა გონივრული ნაბიჯი გახლდათ. იგი 27 წლისაა და გერმანიის ნაკრებში უკვე 50 შეხვედრამდე აქვს ჩატარებული. ბაბელი გამოცდილია, ჩვენს სამშობლოში ფრიად პატივცემული და, ალბათ, საუკეთესო მცველიც. მე კი მოხარული ვიქნები, რომ ვინმესთან მშობლიურ ენაზე ლაპარაკის საშუალება მომეცემა.“

სარეკლამო ფასდაკლება "CROCO"

ბაზრებზე ფასების ეკონომიკურ ფაქტორებზე დამოკიდებული ფასდაკლებები

„ჯიმაჰერი" ფიზიკურ პირთა ფიზიკურ პირთა „ბანკი"

(ეროვნული „ბანკი „ბანკი")

11ᲛᲔ ᲡᲐᲛᲨᲐᲮᲝ 18ᲛᲔ ᲓᲔᲙᲐᲜᲘ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	15	7	4	8	20	13	9	5	2	1
ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ	30	16	9	5	2	30	13	11	7	3	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	30	17	4	9	5	44	55	11	1	3	6
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	10	8	4	34	46	8	4	3	2
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	30	14	9	7	9	28	49	9	2	3	2
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	30	16	4	10	41	30	49	11	0	4	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	14	9	6	40	22	51	9	5	0	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	17	5	7	33	20	43	11	2	2	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	16	8	6	45	32	56	10	2	3	0
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	15	9	4	43	31	54	9	5	1	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	13	9	8	41	31	48	6	6	3	0
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	15	7	4	47	33	46	9	2	3	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	13	7	9	41	30	45	6	3	5	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	13	7	4	43	32	43	9	4	2	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	7	11	43	32	43	9	4	2	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	7	11	31	33	37	6	3	5	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	8	14	7	34	31	38	4	11	0	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	9	10	38	37	39	7	3	4	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	11	8	4	36	23	35	5	6	3	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	9	7	14	39	58	34	7	3	5	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	7	12	28	43	31	34	2	5	2	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	9	7	12	34	30	37	4	5	1	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	11	6	13	42	45	39	3	3	4	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	8	42	33	44	35	5	6	3	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	7	36	25	43	35	6	4	5	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	6	41	41	42	35	6	3	6	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	9	28	31	39	45	3	4	8	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	8	12	39	45	38	8	3	4	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	7	13	34	49	37	7	5	3	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	9	12	39	36	36	46	6	3	6	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	9	7	14	30	37	34	4	5	6	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	8	7	15	33	49	31	6	4	5	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	7	9	14	28	42	30	4	6	5	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	7	8	15	34	42	30	6	6	3	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	5	15	10	25	34	30	3	9	4	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	3	10	17	27	51	19	2	6	7	1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲐᲦᲐᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	29	19	5	5	5529	62	10	2	2	2511	9
ᲜᲝᲢᲘᲜᲒᲘ	30	18	4	7	4723	58	11	0	2	3110	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	16	9	5	5029	57	11	2	2	3013	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	17	4	9	5944	55	11	1	3	3616	6
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	15	6	9	4732	51	11	2	2	3413	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	10	8	4034	46	8	4	3	2516	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	9	8	4233	44	9	3	2	2612	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	12	7	2625	42	7	5	3	1318	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	11	9	10	3541	42	7	6	2	2520	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	11	10	8	3936	41	6	8	1	2114	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	11	9	3633	40	7	5	2	2111	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	13	6	11	4038	45	8	4	3	2947	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	10	8	4233	44	7	4	3	2623	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	8	9	4234	44	9	3	2	2612	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	14	9	7	9928	49	9	2	4	2312	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	16	4	10	4130	49	11	0	4	219	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	14	9	6	4022	51	9	5	0	267	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	9	7	9	2928	39	6	4	2	1922	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	11	7	9	3236	41	8	1	2	2114	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	13	7	9	3226	46	6	4	4	1110	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	13	6	11	4038	45	8	4	3	2947	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	10	8	4233	44	7	4	3	2623	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	7	11	3235	43	6	4	5	1945	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	6	11	4141	42	6	3	6	2120	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	6	11	3129	42	8	2	5	1814	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	9	10	2831	39	8	3	4	1816	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	8	11	3028	38	6	4	5	2114	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	8	12	3945	38	8	3	4	2315	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	9	12	3936	36	6	3	6	2619	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	9	7	14	3037	34	4	5	6	1415	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	8	7	15	3349	31	6	4	5	1919	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	7	9	14	2842	30	4	6	5	1317	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	6	7	16	2342	25	3	6	6	1314	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	5	7	17	2649	22	4	4	6	1517	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	5	4	21	2741	19	3	2	10	1126	2

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ

ᲛᲐᲠᲯᲕᲔ	18	16	0	2	5214	48	9	0	0	336	7
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	15	2	1	4813	47	8	1	0	283	7
ᲛᲐᲠᲯᲕᲔ	18	9	4	5	3422	31	5	0	4	159	4
ᲝᲠᲛᲣᲖᲘᲐ	18	9	2	7	3126	29	7	0	2	2110	2
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	9	1	8	3036	28	5	1	2	1510	4
ᲜᲘᲐᲛᲘ	18	7	6	5	2923	27	6	2	1	238	1
ᲝᲠᲛᲣᲖᲘᲐ	18	7	5	6	2420	26	5	3	1	186	2
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	7	4	7	2419	25	5	1	3	168	2
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	6	6	1	9921	24	5	3	1	136	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	6	2	10	1626	20	5	0	4	1310	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	3	9	6	1623	18	2	5	2	98	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	3	5	10	1838	14	2	5	2	99	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	3	5	10	1326	14	2	3	4	713	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	4	4	10	1831	16	3	3	3	515	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	4	5	9	1625	17	4	1	4	139	0
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	4	11	10	1027	13	2	3	4	511	1
ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	18	3	3	12	1335	12	2	3	4	811	1

ᲗᲑᲘᲡᲘ. ᲐᲦᲐᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	30	17	6	7	4820	57	10	1	4	299	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	16	8	6	4532	56	10	2	3	3016	5
ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ	29	17	5	7	3320	54	11	2	2	3013	6
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	15	6	9	4022	51	9	5	0	267	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	10	8	4034	46	8	4	3	2516	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	9	8	4233	44	9	3	2	2612	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	12	7	2625	42	7	5	3	1318	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	11	9	10	3541	42	7	6	2	2520	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	11	10	8	3936	41	6	8	1	2114	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	11	9	3633	40	7	5	2	2111	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	13	6	11	4038	45	8	4	3	2947	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	10	8	4233	44	7	4	3	2623	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	8	9	4234	44	9	3	2	2612	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	14	9	7	9928	49	9	2	4	2312	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	16	4	10	4130	49	11	0	4	219	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	14	9	6	4022	51	9	5	0	267	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	9	7	9	2928	39	6	4	2	1922	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	11	7	9	3236	41	8	1	2	2114	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	13	7	9	3226	46	6	4	4	1110	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	13	6	11	4038	45	8	4	3	2947	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	10	8	4233	44	7	4	3	2623	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	7	11	3235	43	6	4	5	1945	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	12	6	11	4141	42	6	3	6	2120	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	6	11	3129	42	8	2	5	1814	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	9	10	2831	39	8	3	4	1816	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	8	11	3028	38	6	4	5	2114	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	10	8	12	3945	38	8	3	4	2315	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	9	12	3936	36	6	3	6	2619	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	9	7	14	3037	34	4	5	6	1415	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	8	7	15	3349	31	6	4	5	1919	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	7	9	14	2842	30	4	6	5	1317	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	6	7	16	2342	25	3	6	6	1314	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	5	7	17	2649	22	4	4	6	1517	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	5	4	21	2741	19	3	2	10	1126	2

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲐᲦᲐᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ

ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	29	17	8	3	5225	59	10	2	2	2514	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	15	12	1	4923	57	10	3	1	258	9
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	15	9	4	4331	54	9	5	1	2312	6
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	14	9	5	4024	51	12	1	1	299	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	30	13	9	8	4131	48	6	6	3	2015	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	15	7	4	4733	46	9	2	5	2915	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	13	7	9	4130	46	6	3	5	2116	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	13	7	4	4342	43	9	4	2	3119	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	7	11	4342	43	9	4	2	3119	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	12	7	11	3140	43	8	3	4	2318	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	8	14	7	3431	38	4	11	0	188	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	9	10	3837	39	7	3	4	2318	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	11	8	4	3436	35	5	6	3	2623	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	10	7	12	3133	37	6	3	5	1813	4
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	9	7	14	3958	34	7	3	5	2428	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	7	12	28	4311	31	5	5	2	1627	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	8	11	10	1523	34	2	3	4	1415	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	9	7	12	2342	37	4	3	4	1314	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	7	11	17	2649	33	4	3	4	1717	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	6	11	17	2543	32	4	2	4	1717	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	5	11	17	2447	32	4	1	4	1717	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	4	11	17	1633	23	1	7	3	47	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	3	13	6	1923	22	1	9	1	1141	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	2	14	6	1521	20	2	6	3	810	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	29	1	14	9	1623	19	2	5	3	911	1

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲚᲘᲒᲐᲩᲘᲜᲘ C1/b

ᲓᲐᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ	22	13	8	1	4144	47	8	2	0	265	6
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	12	8	4	3134	31	5	4	1	2027	4
ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ	22	11	7	4	3725	40	7	4	0	2442	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	11	6	5	3527	39	6	5	1	2212	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	10	3	3518	37	4	4	2	1	1918	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	9	10	3	3638	37	4	1	2	1616	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	9	9	4	2731	33	5	0	1	168	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	8	9	4	2731	33	5	0	1	168	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	8	6	7	2124	30	7	1	3	1513	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	7	6	8	3029	29	6	4	0	207	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	6	6	10	1827	24	4	3	5	1113	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	5	9	8	2227	24	4	6	2	1311	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	5	10	5	2125	26	6	1	4	1510	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	5	11	6	1726	26	4	6	1	104	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	4	9	9	1823	21	4	3	3	911	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	4	8	10	1626	20	3	4	5	1013	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	4	5	13	1641	17	2	3	6	813	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	2	10	10	1325	16	2	7	3	79	0

ᲗᲑᲘᲡᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	22	11	7	1	4723	45	9	2	1	1914	7
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	10	7	5	3320	37	8	1	1	1913	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	9	7	6	3029	35	8	1	2	1913	5
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	8	9	4	2731	33	5	0	4	1113	3
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	7	9	5	2320	30	5	4	1	1114	2
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	6	8	4	2125	28	4	3	3	911	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	5	8	4	2125	28	4	3	3	911	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	4	8	5	1929	25	4	2	3	711	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	4	7	6	1729	23	3	2	4	611	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	3	7	7	1521	20	2	3	5	411	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	2	7	8	1323	17	1	3	4	311	1
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	1	7	9	1125	15	1	2	4	211	1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲐᲦᲐᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ	22	17	7	4	4224	49	8	2	2	2310	6
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ	22	12	7	6	3824	43	6	4	1	199	6
ᲓᲘᲜᲘᲛᲣᲠᲘ	22	12	7	6	2923	43	10	3	0	214	2
ᲒᲔ

ახალი თაობა ირჩევს...

თითქმის სპორტის ყველა სახეობა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ტელევიზიაზე ორიენტირებული გახდა. ზოგან სპეციალურად ისვენებენ, რომ სხვადასხვა არხმა რეკლამის ჩვენება მოასწროს, ზოგან მატჩები განსაზღვრულ დღეებში გადააქვთ.

ჩოგბურთის მამებიც ცდილობენ, არ ჩამორჩნენ კონკურენტებს და სხვადასხვა მცირე ცვლილების კვალზე რევოლუციურ სიახლეს ამზადებენ: მალე, დიდი სლემის გარდა, ყველა სხვა ტურნირზე კაცებმაც და ქალებმაც სამის ნაცვლად შეიძლება ხუთი მოკლე სეტი ითამაშონ.

ჩანფიქრი ასეთია — თითოეული სეტი 5 გეიმის მოგებამდე იქნება, ნაცვლად ექვსისა. ტაი-ბრეიკები 6:6-ზე კი არა, 4:4-ზე დაინიშნება და მეხუთე, გადამწყვეტი სეტიც უბრალო ტაი-ბრეიკი იქნება.

პროფესიონალი კაცების ATP ტურიცა და ქალების WTA ტურიც უახლოეს მომავალში აპირებს, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას (ITP) ახალი ფორმატის გამოცდის ნებართვა სთხოვონ და უკვე ამ სეზონში ზოგიერთი მცირე ტურნირი შეიძლება ასეთი წესებით ჩატარდეს.

„ჩვენი მიზანი მატჩში უფრო მეტი მნიშვნელოვანი ქულის შექმნაა, რათა მაყურებლებმა ინტერესი არ დაკარგონ. ამასთანავე მოკლე მატჩების გახანგრძლივებითა და გრძელების შემცირებით ცოტათი ტელევიზიასაც დავეხმარებით“ — განუცხადა „როიტერს“ WTA-ს თავკაცმა ბარტ მაკგუაიერმა.

ჯერჯერობით ეს ცვლილებები არ შეეხება ოთხ დიდი სლემის ტურნირს. აქ კაცები 5 ტრადიციულ სეტს ითამაშებენ, ქალები სამს.

„ფედერაციაც, ATP-ცა და WTA-ც უკვე დიდი ხანია, მსჯელობს ამაზე. ბევრი ფიქრობს, რომ ექსპერიმენტის ჩატარება ღირს, რათა ვნახოთ, როგორი იქნება მაყურებლებისა და თავად მოთამაშეების რეაქცია“ — დაუმატა მაკგუაიერმა.

არადა, თითქმის 100 წლის მანძილზე ჩოგბურთში სულ ორი ცვლილება მოხდა: 70-იანებში ტაი-ბრეიკები შემოიღეს და მოწოდების დროს მოთამაშეებს შეხტომის უფლება მისცეს.

ბოლო ხანებში ITF-მა კიდევ რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა. ჯერ მეტნაკლებობის გაუქმება და 40:40-ზე მომდევნო ქულით გეიმის მოგება, მერე მოწოდების დროს ბადეზე ბურთის წაკარების შემთხვევაში თამაშის გაგრძელებაც გამოსცადეს.

ამჟამად კაცების სატელიტურ ტურნირებზე ტემპის შესამცირებლად დიდ ბურთებს სცდიან და აპირებენ, ჩოგნების სიმძლავრეც შეამცირონ, რათა მეტისმეტად ზორბა ჩოგბურთელებს ერთი დარტყმით ქულის მოგებაში შეუშალონ ხელი.

REUTERS-ის ფოტოდან

ლენოქს ლუისი და მაიკლ გრანტი

ანდრე გადაიწვა



ანდრე აგასი

ახალი, ხუთსეტიანი ფორმატის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასია. „ყოველივე ახალი უკეთესს სულაც არ ნიშნავს. მსგავსმა ცვლილებამ შეიძლება სპორტს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს“ — განაცხადა ავსტრალიის ღია პირველობაზე ხოტორა ამერიკელმა.

თუმცა თავად ანდრეს ამჟამად სულ სხვა რამ — მოულოდნელად მიღებული ზურგის ტრავმა აწუხებს. როგორც ეტყობა, ზედიზედ ოთხი კვირის მანძილზე ასპარეზობამ უკვალოდ არ ჩაიარა.

აგასი ავსტრალიის ღია პირველობის მოგებისთანავე ზიმბაბვეში გადაფრინდა დევისის თასის მატჩზე. კვირას, ბაირონ ბლექთან შეხვედრის დროს, ჰარარეს დიდ სიმაღლესა და ნესტს შეუჩვეველმა ამერიკელმა ჯერ პირდაპირ კორტზე არწყია, მერე კი გასახდელშიც.

ორშაბათს ლონდონიდან სან ფრანცისკოში მიმავალ თვითმფრინავში ანდრეს ფეხების კუნთები და ზურგი ატკივდა, მეორე დილით კი ვარჯიშის დროს მოძრაობაც გაუჭირდა და რამდენიმე წუთში თამაში შეწყვიტა.

ამ კვირაში აგასის სან ხოსეში უნდა ესპარეზა, მაგრამ გუშინ ამაზეც აიღო ხელი, რითაც ტურნირის ორგანიზატორ ბარი მაკკის ძალიან დასწყვიტა გული: „მეც და ანდრეც იმედგაცრუებულნი ვართ. საუბრის დროს ეტყობოდა, როგორ სტკიოდა ზურგი, ვერაფერს გავაწყობთ“.

ახლა აგასის საავადმყოფოში შემოწმება ელის ტრავმის სერიოზულობის დასადგენად.

ლასვეგასელმა შარშანდელი სან ხოსეს პირველობაც ნაადრევად და უცნაურად დაასრულა — მეორე წრეში ავტომატური დისკვალიფიკაცია მიიღო იმის გამო, რომ გვერდით მსაჯს რამდენჯერმე შეაგინა.

...და ისევ დოკიჩები

16 წლის ელენა დოკიჩმა უიმბლდონის პირველ წრეში მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის დამარცხებითა და მეოთხედფინალში გაღწევით ამომავალი ვარსკვლავის რეპუტაცია კი მოიპოვა, მაგრამ მას შემდეგ კაპიკის საღირალი აღარაფერი გაუკეთებია.

ელენა გაზეთების პირველ გვერდებზე ისევ ხვდება, ოღონდ უკვე მეტად უსიამოვნო მიზეზების გამო: მელბურნში პირველ წრეში წაგების შემდეგ მეტოქეს უცოდინარი უწოდა, მერე უცხოური ტურნირების ორგანიზატორებს მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობასა და საგანგებოდ რთული მეტოქეების შერჩევაში დასდო ბრალი, მამამისმა, შერეკილმა დამირმა კი მავან ჟურნალისტებს ჩხუბი აუტეხა.

თანამემამულეთა გულის მოგებას ჩოგბურთელი ვერც ახალი გამოხტომით მოახერხებს — მან გადაწყვიტა, სიდნეის ოლიმპიადაში მონაწილეობა არ მიიღოს და ამის ნაცვლად სექტემბერში ევროპაში წავიდეს არდადეგებზე.

ეს ინფორმაცია გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“ ელენას უფროსმა ძმამ ზავომ მიაწოდა, თუმცა დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა, ჩემს დას უნდა, ეს ამბავი ჟურნალს მიეიღოსო.

ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თუ დოკიჩი მართლაც აარიდებს თავს სიდნეიში გამოსვლას, ეს პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც ავსტრალიის საუკეთესო ჩოგბურთელი ოლიმპიადაზე ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე უარს იტყვის.

დოკიჩის ისედაც შელახულ რეპუტაციას თანამემამულეთა თვალში კიდევ უფრო შელანძღვა ნამდვილად არ წაადგება, რაც მის აგენტ ჯონ მაკკარდისაც კარგად ესმის: „ჩვენ ძალიან გვსურს, ელენამ სიდნეიში ითამაშოს და ყველაფერს ვიღონებთ, რათა იგი დავითანხმოთ. ოლიმპიადაზე წაუსვლელობა დიდი შეცდომა იქნება“.

ავთანდილ სვანიძე



ელენა დოკიჩი

გრანტი ლუისს ეზომება

კანდელაკი — ქადაგ ბერბიკს

ლენოქს ლუისი ამერიკაშია. ის ნიუ იორკში იმყოფება და თავისი უდავო ჩემპიონობის პირველი დაცვის პრომოუციაში მონაწილეობს. 29 აპრილს ბრიტი ლუისი (35-1-1) „მედისონ სკვერ გარდენში“ შეერკინება 27 წლის, ჯერაც დაუმარცხებელ (31-0) ამერიკელ მაიკლ გრანტს.

გრანტი სერიოზული და ძლიერი მოკრივეა, ალბათ, საუკეთესო იმათ შორის, ვისაც დღეს უდავო ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლია. თუმცა, ლუისმა და მისმა ბანაკმა არაორაზროვნად მიანიშნეს მედიას, რომ სურთ და აპირებენ კიდეც მაიკ ტაისონთან ბრძოლაზე მოლაპარაკებების დაწყებას და წლის მთავარ ჯაჭადაც სწორედ იგი ესახებათ. ტაისონის გუნდთან მოლაპარაკება ხანგრძლივი იქნება, მანამდე კი ჩემპიონის წინაშე გრანტი დგას.

ლუის-გრანტის ტელერეპორტაჟს ტელესისტემა ეუჩბიუს ერთ-ერთი ტოტი, „თივი ქეიო“ გადასცემს პიროვნულ კოდირებულ არხზე და ტელებილეთი 44,95 დოლარი ეღირება, ხუთი დოლარით ნაკლები, ვიდრე ფელიქს ტრინიდად-ოსკარ დე ლა ჰოიას ბრძოლის შარშანდელი ტელებილეთი.

ლუისი ათ მილიონ დოლარს მიიღებს, გრანტი — ოთხს. ეს მოკრივენი, იერით, სიმაღლითა და წონით ძალიან ახლო არიან ერთმანეთთან და ლუისს გულღიად განუცხადებია, მიხარია, რომ ჩემი სტილის მებრძოლს ვხვდებიო, ბრძოლაში ხშირად მოვიხმარ ჩემს კარგ ჯებს და ასე დავჯაბნი მეტოქესო. მისი მწვრთნელი ემანუილ სტიუარტი კი აცხადებს, რომ ჰოლიფილდთან ქულებით გამარჯვების მომტანი სტილი სულაც არ არის ლუისის საყვარელი მანერა, ამიტომ, ეგებ სანოკაუტო ტაქტიკაც ავირჩიოთო.

ამერიკული მედია ძლიერ აქებს გრანტს, ჩხუბის ძალისმიერად წარმართვის ოსტატობის გამო, თუმც კი მისი ბოლო ბრძოლა პოლონელ ანჯეი გოლოტას წინააღმდეგ, მეტად ულამაზო იყო და გრანტს ათი რაუნდი დასჭირდა ამ დოყლაპიას წასაქცევად. თანაც, ამ მომენტამდე ქულებით სწორედ გოლოტა იგებდა.

გრანტი ამბობს, რამდენიც არ უნდა მომხვდეს, ძვრას ვერ მიყოფსო, ქვის ნიკაპი მაქვსო.

მაგრამ იქამდე ჯერ ორ თვეზე მეტია.

ჩვენთვის საინტერესო კი ის უნდა იყოს, რომ ლუის-გრანტის ანდერქარდში, „მედისონ სკვერ გარდენში“ ალბათ, იკრივებს გიორგი კანდელაკიც, რომლის სავარაუდო მოწინააღმდეგეც მძიმე წონის ექს-მსოფლიოს ჩემპიონი ტრევორ ბერბეკი იქნება.

გახსოვთ ტრევორ ბერბიკი?

ის საბჭოს (ვბკ) ჩემპიონი გახდა... 1986(!) წელს, დაამარცხა რა ვინმე პინკლტონ ტომასი. იმავე წლის ნოემბერში, ლას ვეგასის ოტელ „ჰილტონში“ მაიკ ტაისონმა ავი ნოკაუტით, მეორე რაუნდის დასაწყისში დასცა ბერბიკი და 20 წამით გონება დაკარგვინა, რითაც მძიმე წონის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი შეიქნა.

ახლა ბერბიკი 47 წლისა იქნება და მის ბოლოდროინდელ ბრძოლებზე ბევრი არაფერი ვიცით. ისე კი, დიდი ზანგურად მორწმუნე ვინმე ყოფილა და მეტსახელად „ქადაგი“ შეურქმევიათ. დაბადებულა იამაიკაზე, მერე კანადის პასპორტი მიუღია და ამერიკაში, მგონი მაიამიში ცხოვრობს.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ამერიკული ოცნების კაცი

სულწაუწყმედელმა ბლეიქმა იანკებს ნამუსი უნდა მოსწმინდოს

ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიურ მოძრაობას არცთუ დალხინებული დღეები უდგას. ბოლოხანს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ქრთამებთან დაკავშირებით ატეხილმა სკანდალებმა თვით სიტყვა „ოლიმპიზმი“ ამერიკელთა თვალში მეტად დააკნინა. კრიზისს დაძლევა სჭირდება და იანკები ამოძრავდნენ. მთავარი პრობლემა ის გახლდათ, ვინ უნდა ჩამდგარიყო ოლიმპიური მოძრაობის სათავეში — პოლიტიკოსი, ლეგენდარული სპორტსმენი თუ ბიზნესმენი. ამერიკელებმა უკანასკნელი ირჩიეს და მკითხველი ამის მიზეზსაც თავად მიხვდება: ბიზნესმენი, ჯერ ერთი, ის პიროვნებაა, რომელსაც ორგანიზაციულ ხლართებში გზის გაკვლევა ყველაზე კარგად ეხერხება, მეორეც, ნახსენები სამეულიდან ყველაზე ნაკლებად ალბათ სწორედ იგი წაიწყმედს სულს ფულისთვის. ახლა რომელი ბიზნესმენი? უეჭველად ცნობილი და ამასთან კარგი „მეურნის“ რეპუტაციის მქონე. ზუსტად ამგვარია 58 წლის ნორმან ბლეიქი, რომელსაც ადრე გიგანტურ „ჯენერალ ელექტრიკში“ ნაყოფიერი მოღვაწეობით გავარდნია სახელი, შემდეგ კი სადაზღვევო კომპანია „იუ-ეს ფიდელიტი ენდ გარანტის“ შეფადაც ქცეულა. ბლეიქის მთელი ბიზნეს-ცხოვრება წარმატებათა ისტორიაა და ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ აშშ-ის ეოკ-ის მესვეურებმა მას მომეტებული უფლებებიც მიანიჭეს, ვიდრე ოდინდელ პრეზიდენტებს. დღეიდან ეოკ-ის ხელმძღვანელი ორ უზენაეს ფუნქციას შეითავსებს — მთავარი აღმასრულებელი დირექტორისა და გენერალური მდივნისა.

ბლეიქის კონტრაქტი აშშ-ის ოლიმპიურ კომიტეტთან სამწლიანია.

დავით გულუა

საქართველომ აშკარად მოუმატა

ჩვენ არა, სხვებმა თქვეს

ჩვენი მიმქრალი სპორტული ცხოვრება მორაგბეებმა გაახალისეს. ამიტომაც ლისაბონში გამარჯვებულნი მეტ ქებასაც იმსახურებენ და მეტ ყურადღებასაც. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტთან ბიძინა გეგიძესთან საუბარიც ორმაგად საინტერესო იყო: ქართული რაგბის ნომერი პირველი პირი ლისაბონური მატჩის თვითმხილველიც გახლავთ

— სამი წლის წინ პორტუგალიის ნაკრებმა ლისაბონში რომ დაგვამარცხა და მოედანზე დიდი ჩხუბიც ატყდა, ჩვენი მაშინდელი შემადგენლობიდან დღევანდელ გუნდში რამდენიმე მორაგბე თამაშობს. ამიტომაც იყო, რომ შეხვედრის დაწყებამდე ბიჭები ცოტა დაძაბულნი მეჩვენენ, თუმცა თავს მალე მოერივნენ და მოედანზე წმინდა სპორტული ჟინით სავსენი გავიდნენ. მატჩამდე კლოდ სორელს ვესაუბრე, იგი დარწმუნებული იყო ჩვენების გამარჯვებაში, სხვა შედეგის გაგონებაც არ სურდა. პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია, მასპინძლებმა ოთხი ჯარიმა გაგვიტანეს, რასაც ურჯუკაშვილმა მხოლოდ ორი ზუსტი საჯარიმო დარტყმით უპასუხა. შესვენებაზე კლოდ სორელმა ბიჭები დატუქსა და მეორე ტაიმში სულ სხვა გუნდი ვიხილეთ. მრავალფეროვან შეტევებს თორმეტ წუთში სამი ლელო მოჰყვა, თუმცა ამის მერე ძალიან ვინერვიულეთ: 27:12 რომ დავწინაურდით, ბიჭები მოეშვნენ, თითქოს ჩაეძინათო. მასპინძლებმა, ცხადია, ამით ისარგებლეს და მათმა ლიდერმა ტეიშეირამ ხუთი ჯარიმა და ერთი არეკნი გაგვიტანა. ბოლო წუთებზე კი ლევან ცაბაძემ გადაგვარჩინა. ლეონსიომ მართლაც საუცხოოდ ითამაშა. შეხვედრას FIRA-ს პრეზიდენტი, ჟან-კლოდ ბაკე ესწრებოდა. მატჩის შემდეგ იგი ჩვენთან მოვიდა, გამარჯვება მოგვილოცა და გვითხრა: საქართველოს ნაკრებმა აშკარად მოუმატაო.

— 20 თებერვალს „ბორჯალოსნებს“ საფრანგეთში უწევთ თამაში ტურნირში უკანკურსოდ მონაწილე მაროკოელებთან...

— მაროკოელები კონკურსგარეშენი კი არიან, მაგრამ მათთანაც აუცილებლად გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. არ არის გამორიცხული გუნდში ახალ წევრთა გამოჩენა. მაროკომ პირველ ტურში ჯგუფის ფავორიტი რუმინეთი დაამარცხა და აქედან საჭირო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ჩვენ ყველა მატჩში გამარჯვებას უნდა ვეცადოთ, რათა რაგბის სამყაროში ღირსეული ადგილი დავიკავოთ. თუმცა დიდი მიზნებისთვის ბრძოლა სახელმწიფოს დაუხმარებლად არარეალურად მეჩვენება. სწორედ ამიტომაა, რომ ნაკრების წევრთა უმრავლესობა საფრანგეთში გადაბარგდა და იქაურ კლუბებში თამაშობს. იქ კი, მოგეხსენებათ, მშვენიერი პირობებია სპორტსმენის მოსამზადებლად, თანაც ჩვენები მთავარი მწვრთნელის, კლოდ სორელის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ.

— სორელის საქმიანობას როგორ შეაფასებდით?

— მწვრთნელი უპირველესად მისმა შედეგებმა უნდა გამოაჩინოს. ჩემი აზრით, ბატონი კლოდი ნაღდი პროფესიონალია. იგი ცდილობს, ეტაპობრივად შეცვალოს ნაკრების ტაქტიკა. ადრე სორელი თავს იკავებდა გუნდში საკუთარი პრინციპების დანერგვისგან, ჩვენი მორაგბეები ამისთვის მზად არ იყვნენ. ახლა კი, როცა ლეგიონერები საკმაოდ ძლიერ კლუბებში თამაშობენ, მეტიც მოეთხოვებათ.

— საქართველოს ნაკრებს ერთი ნაბიჯი დააკლდა მსოფლიოს თასზე მოსახვედრად. რა კეთდება საიმისოდ, რომ ეს ერთი ნაბიჯიც გადავდგათ?

— მაშინ გვსურდა, ყველაფრისთვის ერთბაშად მიგვეღწია, მაგრამ ასე ხომ

ბიძინა გეგიძე

ბადრი ჯობლაძის ფოტო

არ ხდება. კლოდ სორელი სიახლეთა და ახალ მოთამაშეთა ძიებაშია. მაგალითად, ირაკლი აბუსერიძემ პორტუგალიაში სრულად ჩაატარა მატჩი, გამოჩნდა ახალგაზრდა ბოლღაშვილიც, რომელმაც გაამართლა მწვრთნელის იმედი. საფრანგეთში მოთამაშე მორაგბეებთან ერთად ემზადებიან ნაკრების ის კანდიდატები, რომლებიც ჩვენს ჩემპიონატს შემორჩნენ. რაგბის კავშირის ყოფილი გენერალური მდივანი გია ჭუმბურიძე მთლიანად ნაკრების საორგანიზაციო საქმეებით არის დაკავებული, პრესტაშე გია კუბლაშვილს მეტოქეებზე ინფორმაციის შეგროვება დავევალა. მალიორკაში უკვე გადაიღო ვიდეოფირზე ესპანეთ-ჰოლანდიის მატჩი და საფრანგეთში გაგზავნა. იქ უფრო დეტალურად შეისწავლიან ორივე გუნდს და სათანადო ტაქტიკასაც დასახავენ. არც გულშემატკივარს და მის მნიშვნელობას ვივიწყებთ. საშინაო მატჩების ტრიბუნიდან ცქერა ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, ჩვენ ბილეთს მხოლოდ სიმბოლურ ფასს დავადებთ. მიღწეულით დაკმაყოფილებას სულაც არ ვაპირებთ, მით უმეტეს, გაცილებით მეტი შეგვიძლია.

— მას მერე, რაც კვლავ პრეზიდენტად აგირჩიეს, კავშირში საკადრო ცვლილებები განახორციელეთ. კონკრეტულად?

— გვყავს ახალი გენერალური მდივანი მიხეილ ბურძგლა, საშეჯიბრო კომიტეტს ნუგზარ მალაღურაძე უხელმძღვანელებს. ნოდარ რობიტაშვილი მწვრთნელთა და მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. გია კუბლაშვილზე და გია ჭუმბურიძეზე კი უკვე გითხარით.

— ეროვნულ ჩემპიონატზეც ვთქვათ...

— მალე კლუბების წარმომადგენლებს შევხვდებით და ეროვნულ ჩემპიონატზე საფუძვლიანად გავესაუბრებით. უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ყველა კლუბი მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

გვსურს უცხოელი სპეციალისტების საქართველოში ჩამოყვანა და საამისოდ უკვე პირველი ნაბიჯებიც გადავდგით. მსაჯებისა და მწვრთნელებისთვის მოეწყობა სემინარები, რის შემდეგაც გაიცემა ლიცენზიები. ჩემპიონატი, ალბათ, გაზაფხული-შემოდგომის პრინციპით ჩატარდება. ვიმედოვნებთ, რომ კლუბებთან ყველაფერზე შევთანხმდებით და ეროვნული ჩემპიონატიც უკეთესი და უფრო დაძაბული იქნება.

ბაჩო სვანიძე

ლისაბონი. პორტუგალია — საქართველო 30:32.
მასპინძლები მატჩის გმირის, ლევან ცაბაძის შებოჭვას კი ცდილობდნენ, მაგრამ ლეონსიომ თავისიც გაიტანა და გამარჯვების ლელოც

PUBLICO

ავტოგრაფები შარდის ქილაზე

მოცურავეთა მსოფლიოს თასის ევროპულმა ტურნემ შეფილდიდან ბერლინში გადაინაცვლა. მასში 31 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ამათგან გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე კვლავაც ნაცნობმა სახეებმა გაიბრწყინეს — ავსტრალიელმა იან ტორპმა და ამერიკელმა ლენი კრეიზელბერგმა სამი მსოფლიოს რეკორდი დაამხეს.

იან ტორპმა ეს 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შეძლო, რითაც 18 ინვარს სიდნეიში, მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპზე დამყარებული თავისივე რეკორდი (1,42,54) გაუუმჯობესა — 1,41,10. ამის გარდა მან 100 და 400 მეტრზე გაიმარჯვა და 1040 ქულის მოპოვებისთვის, 50.000 გერმანული მარკის ღირებულების სპორტული, CHRAYSLER WRANGLER-ის ჯიპით დასაჩუქრეს.

მანამდე, სსპარეზობის პირველ დღეს, ბერლინის ახალ „ეროპასპორტპარკის“ აუზში, 24 წლის გაამერიკელებულმა უკრაინელმა ლენი კრეიზელბერგმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, თანამემამულე ჯეფ როუზის მიერ 1993 წელს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (51,43) გაუუმჯობესა — 51,28. მერე იქვე დაიქადნა, ხვალ 200 მეტრზე იგივეს გავაკეთებო და შეასრულა კიდეც. კრეიზელბერგს 50 მეტრზეც შეეძლო იგივეს გაკეთება, თუმცა ავსტრალიელი მეტ უელშის მსოფლიოს რეკორდს 6 შეათედი წამით ჩამორჩა. ამით განაწყენებულმა საკუთარ თავს შესძახა — „ცუდი ფინიშია, ცუდი“. საინტერესოა, რომ მანამდე კრეიზელბერგმა იუარა დოპინგ-შემოწმება, რადგან ტესტირება ცურვის საერთაშორისო ფედერაციის (FINA) წესებით არ ტარდებოდა. თუმც მოგვიანებით მაინც დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ შარდის ანალიზისთვის განკუთვნილ ქილებს პოლიციის ზედამხედველობითა და FINA-ს დიდმოხელეთა თანდასწრებით დალუქავდნენ.

სწორედ არასათანადო დოპინგ-შემოწმების გამო იყო, რომ ასპარეზობის მეორე დღეს, ავსტრალიელი და ამერიკელი მოცურავეები ბოიკოტთ დაიმუქრნენ.

ავსტრალიელთა ნაკრების მწვრთნელის დონ ტელბოტის განცხადებით, ოზებმა ოფიციალურად გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება იმ ტესტირების გამო, რომელიც ხუთ მოცურავეს ჩაუტარეს.

მათ შორის იყვნენ იან ტორპი და ლენი კრეიზელბერგი, რომელთა შარდი სათანადოდ დალუქულ ქილებში არ შეინახეს.

— ისინი ვალდებულნი არიან, შარდი დალუქულ ქილებში მოათავსონ, მათ კი ასეთი რამ არ გაუკეთებიათ — განაცხადა ტელბოტმა ავსტრალიური ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში. თუმცა მოგვიანებით, პოლიციამ სანაქებო პლასტიკური ქილები მოიტანა. იგი დალუქა და მოცურავეებს ზედ ხელი მოაწერინა.

— მიუხედავად ამისა, არ მჯერა, რომ ქილები სათანადოდ იქნება დაცული — თქვა ტელბოტმა.

ავსტრალიელთა მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ასეთი ტესტირების ინიციატორი მისი გერმანელი კოლეგა მანფრედ ტისმანია.

საქმე ისაა, რომ შეფილდში იან ტორპის ჰეთ თრიქმა და საერთოდ მისმა ადრინდელმა შედეგებმა ტისმანს აფიქრებინა, ავსტრალიელს აკრძალული პრეპარატები დაეხმარებოდაო. ტორპის პასუხი კი ასეთი გახლდათ — ჩემი ერთადერთი დოპინგი დაუღალავი ვარჯიშიაო.

— გუშინდელი დღე წარსულს ჩაბარდა — ამბობს ტორპი — მიუხედავად ამისა მე და ლენი დოპინგ-შემოწმების გამო თავს ბედნიერად მაინც არ ვგრძნობთ. ჩვენ გვჯერა, რომ ანალიზების მანიპულირება მთლიანად არ მოხდება, მაგრამ მთავარი მაინც სპორტსმენთა უდანაშაულობის დაცვაა.

ამ ფენომენალურ მოცურავეს, რომელიც მცირე და დიდ წყლებში 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მსოფლიოს რეკორდების ფლობელია, მთავარ საზრუნავად ოლიმპიური თამაშები გაუხდია.

— არ ვიცი სასიდნეოდ სათანადო ფორმის შენარჩუნებას თუ შეეძლებ, მაგრამ მაინც იმედით ვუყურებ მომავალს. მე ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ — დასძინა ტორპმა.

გიგა გურასაშვილი



ლენი კრაიზელბერგი

ფიჯიმ ურიგოდ მოიგო

ველინგტონში, შვიდკაცას მსოფლიოს თასის მეხუთე ტურნირი წინამორბედებისგან თავისი შემადგენლობით გამოირჩა. ახალი ზელანდიის ღირსებას ოლბლრექსელი ჯონა ლომუ და კრისტიან კალენი იცავდნენ, ფიჯისას — ვილიამ სატალა, მარიკა ვუნიბაკა, საფრანგეთისას — ფილიპ ბერნა-სალი... ეს მორაგბეები შემოდგომაზე გამართულ მსოფლიოს თასზე ასპარეზობდნენ და საკმაოდ წარმატებითაც. ახალ ზელანდიაში სულ თექვსმეტმა გუნდმა მოიყარა თავი და ისინი ოთხ ჯგუფში განაწილდნენ. A ჯგუფი: ახალი ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, კუკის კუნძულები; B ჯგუფი: ფიჯი, არგენტინა, აშშ, პაპუა-ახალი გვინეა; C ჯგუფი: სამოა, კანადა, ურუგვაი, ხორვატია; D ჯგუფი: ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ჰონ კონგი, იაპონია.

ტურნირის პირველ დღეს არანაირი მოულოდნელობა არ მომხდარა. ძლიერებმა იოლად დასძლიეს ჯგუფური ბარიერი და მეოთხედფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ხორვატიის ნაკრებში ახალ ზელანდიაში მცხოვრები და მოთამაშე ხორვატები გამოდიოდნენ, მაგრამ კანადელებს და სამოელებს მათ მაინც ვერაფერი მოუხერხეს.

ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, წინა ოთხი ტურნირის დარად, მასპინძლები და ფიჯელები გავიდნენ. აქამდე მათ ორ-ორი გამარჯვება მონაცვლეობით მოეპოვებინათ და ახლა ახალი ზელანდიის რიგი იყო. თუმცა ფიჯელებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს და მესამე ტურნირი „ურიგოდ“ მოიგეს.

მეხუთე ადგილისა და სინისთვის გამართულ მატჩში კანადამ სამხრეთ აფრიკას 24:21 აჯობა, მე-9 ადგილი კი ხორვატიის მძლეველ საფრანგეთს (47:12) ერგო. მომდევნო საშვიდკაცო ტურნირი ავსტრალიაში, მომავალ უქმეებზე გაიმართება.

გაგი გურული

ნახევარფინალი

ახალი ზელანდია 19:0 ავსტრალია

ფიჯი 47:12 სამოა

ფინალი

ფიჯი 24:14 ახალი ზელანდია

საერთო ჩათვლა 5 ტურნირის შემდეგ:

1 ფიჯი — 92 ქულა
2 ახალი ზელანდია — 88
3 სამოა — 54
4 ავსტრალია — 48
5 სამხრეთ აფრიკა — 46
6 კანადა — 28
7 არგენტინა — 16
8.საფრანგეთი — 14
9 საქართველო — 12
10 ტონგა — 10
11 მაროკო — 4
12 ურუგვაი — 4
13 შოტლანდია — 2

დაემხო...

4X800 ანუ 50000:4

დიახაც, დაემხო! ოღონდ არა სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერაყში, არამედ დღემდე არსებული უძველესი სამძლეოსნო რეკორდი, რომელიც ჯერ კიდევ 1971 წლის 14 მარტს დაამყარა რუსთა კვარტეტმა. ეს მოხდა სოფიაში. მაშინ ვალენტინ ტარატინოვმა, სტანისლავ მეშერსკიხმა, ალექსეი ტარანოვმა და ვიკტორ სემეშკინმა ამანათებით 4X800 მეტრიანი დისტანციის გარბენას 7 წუთი და 17,80 წამი მოანდომეს. გუშინწინ ბოსტონურ დარბაზში ხსენებულ რეკორდს ამერიკელთა ოთხეული შეეჭიდა ჯოი ვუდის, კარლ პარანიას, რიჩ კენისა და დეკიდ კრამნაკერის შემადგენლობით. სახელთან ერთად ამერიკელებს „სახრავიც“ გვარიანი ამოძრავებდათ — 50 ათასი დოლარი, რომელსაც რეკორდის გაუმჯობესების შემთხვევაში ოთხივე მათგანი ერთად პრემიის სახით მიიღებდა. მორბენლებმაც ენთუზიაზმით ირბინეს და „წვერებიან“ რეკორდს მთელი 3,86 წამი ჩამოაჭრეს.

დავით გულუა

ველორბოლა

რობი მაკ-ევანი

მალიორკის ყველა ქუჩა ვიცი...

მალიორკის საერთაშორისო ველორბოლის 3 ეტაპი გასრულდა და ალბათ შინაური, ნაჩვევი გზების წყალობაცაა, რომ ესპანელები ჯერჯერობით ყველას ჯაბნიან. თუ საერთო ჩათვლას შევათვალიერებთ, ცხადად ჩანს, რომ მოწინავე საპრიზო ადგილები მასპინძლების კუთვნილებაა და არც საუკეთესოთა ათეულში იგრძნობა მათი ნაკლებობა. ერთია მხოლოდ, მესამე ეტაპზე ცოტა გარეშეებმაც გამოიღეს ხელი და თუმც ამან საერთო ჩათვლის ცხრილი ძალიანაც ვერ შეცვალა, ეტაპის გამარჯვებული მაინც უცხოელი გახდა. ტრასის სიგრძე 159 კილომეტრი გახლდათ, ველომრბოლებს იგი კალა რადადასა და კალა მილორს შორის უნდა დაეფარათ. ავსტრალიელმა რობი მაკ-ევანმა ერთხანს გამჭრიახი მზერით ათვალიერა პელოტონი, დროულად იაზრა, რომ მეტოქენი ერთმანეთთან ბრძოლით იყვნენ გართული და ქურციკივით გავარდა წინ. ფინიში მაკ-ევანმა პელოტონზე მთელი სამი წამით ადრე გადაკვეთა, თუმცა ამ გამარჯვების მიუხედავად, მისი გვარის მოწინავე ათეულში ძებნა ამაო მცდელობად დაგიჯდებათ.

საერთო ჩათვლა

1 ფრანსისკო კაბელო (ესპანეთი) — 9.24.59
2 პედრო ორილო (ესპანეთი) — 9.25.14
3 ერიკ ზაბელი (გერმანია) — 9.25.16
4 რუბენ გალვანი (ესპანეთი) — 9.25.16
5 ხოსე ლუის რებოლო (ესპანეთი) — 9.25.16

ციგურაობა

ამბავი სიყვარულისა და გაგებისა

ამერიკაში, კერძოდ, მილუოკის საციგურაო დარბაზში ამ დღეებში მსოფლიოს რჩეული მოციგურავენი, რათა გაერკვიათ, ვინ იყო საციგურაო მრავალჭიდის მსოფლიოს ლიდერი. ქალებში ეს ამბავი გერმანელების შინაურ საქმედ იქცა. ერთ მხარეს იდგა გუნდე ნიმან-შტირნემანი, გამოცდილი ვეტერანი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობის სიტკბო რვაგზის უგემია, მეორე მხარეს კი — კლაუდია პეჰშტაინი, ბევრად ნორჩი, რომლის გამარჯვებებიც წინ არის, თუმც მან ამჯერადაც გაიხარა. ყველაფერი ბოლო დისტანციაზე გადაწყდა. პეჰშტაინს აქამდე მცირე უპირატესობა მოეპოვებინა და 5000 მეტრზე სრიალისას ისღა უნდოდა, მეტოქეს 5 წამზე მეტით არ ჩამორჩენოდა. „ბოლო ხუთი წრე გავწამდი" — განაცხადა შემდეგ პეჰშტაინმა, როცა მილოცვებს იღებდა, — „გუნდე ტემპს სულ უფრო უმატებდა და მეშინოდა, შორს არ წასულიყო". საბოლოოდ პეჰშტაინმა ამოცანა შეასრულა, წამიც კი დარჩა მარაგში და ამან მოაგებინა საერთო ჩათვლა.

მამაკაცებში ჰოლანდიელებს რომელი ერთი დაუდგებოდა წინ. ყინულზე გამოვიდნენ 5000 და 10000 მეტრზე სრიალში ოლიმპიური ჩემპიონი და რეკორდსმენი ჯანი რომე, მრავალჭიდში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი იდს პოსტმა და სამგზის გამარჯვებული რინტიე რიიტსმა. სწორედ ამ მიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილებიც. რომემ და პოსტმამ იმდენი ქნეს, ყველაფერი ბოლო ეტაპამდე გადაწყვიტეს და როცა 10000-მეტრიანი დისტანცია უბრალო ფორმალობად იქცა, პოსტმა შაყირის ხასიათზე დადგა. ისე არხეინად მისეირნობდა ყინულზე, გეგონებოდათ, სუფთა ჰაერზე გამოსულაო, ხოლო როცა პირველ პოზიციაზე მქროლმა რომემ სერიოზული სახით, თავჩაღუნულმა ჩაუქროლა („უკვე მთელი წრით გაესწრო მისთვის), გამოეკიდა და რბილ ადგილებში ხელის წავლება დაუპირა, სად გეჩქარება, ერთად მივიდეთ ფინიშთანო. ტრიბუნების ხარხარმა არ დააყოვნა და მსოფლიოს ჩემპიონატიც ასეთ სიყვარულსა და გაგებაში ჩაჰბარდა ისტორიას.

დავით გულუა

ჯანი რომე ისევ ჯანზეა

კლაუდია პეჰშტაინი

ჰოკეი

8 თებერვალი

ბოსტონი — ვაშინგტონი 2:2

0:0 2:1 0:1 0:0

1:0 სავაჟი 22'58 (3); 1:1 გონჩარი 30'13 (14); 2:1 ანდრეიჩუკი 39'25 (19); 2:2 კლი 56'06 (4)

დეტროიტი — სენტ ლუისი 1:4

1:1 0:2 0:1

0:1 მაიერსი 4'15 (4); 1:1 მერფი 18'45 (7); 1:2 ჰანდზუსი 23'53 (14); 1:3 რიზონერი 27'08 (4); 1:4 პელერინი 42'18 (5)

მონრეალი — ედმონტონი 4:5

2:3 0:1 2:0 0:1

0:1 პოტი 4'37 (6); 0:2 ლარაკი 10'21 (3); 1:2 ლინდენი 10'48 (6); 2:2 ლინდენი 12'15 (7); 2:3 გერინი 15'57 (6); 2:4 მარჩანტი 37'07 (12); 3:4 ზუბრუსი 48'27 (12); 4:4 ლინდენი 57'36 (8); 4:5 ჯ. სმიტი 63'04 (3)

აილენდერსი — კაროლინა 3:4

1:2 2:1 0:1

0:1 დენიელსი 4'10 (3); 0:2 დელინა 8'38 (8); 1:2 ჩერკავსკი 13'00 (19); 2:2 ჟირუ 20'35 (1); 2:3 კოვალენკო 25'05 (12); 3:3 ლაპუანი 37'51 (9); 3:4 ფრენსისი 57'29 (15)

რეინჯერსი — ნიუ ჯერსი 2:2

0:0 1:2 1:0 0:0

1:0 ფლერი 32'34 (13); 1:1 გომესი 36'33 (14); 1:2 ნემჩინოვი 38'35 (5); 2:2 იორკი 47'06 (18)

ტამპა — სან ხოსე 0:8

0:2 0:3 0:3

0:1 სატერი 6'10 (5); 0:2 ნოლანი 13'07 (33); 0:3 ფრიზენი 27'41 (18); 0:4 ნოლანი 34'08 (34); 0:5 ჰარვი 35'37 (7); 0:6 ფრიზენი 43'51 (19); 0:7 შტერნი 58'03 (3); 0:8 მარლო 59'46 (13)

კოლორადო — ბუფალო 0:2

0:1 0:0 0:1

0:1 შატანი 13'41 (27); 0:2 ჟორდი 56'02 (6)

ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 3:5

1:1 0:4 2:0

0:1 კალენი 2'49 (9); 1:1 შტუმპელი 6'34 (6); 1:2 ვიშნევსკი 29'51 (1); 1:3 ტვერდოვსკი 34'33 (7); 1:4 რუჩინი 36'09 (10); 1:5 კარია 39'00 (31); 2:5 მიური 42'33 (18); 3:5 სმოლინსკი 47'38 (16)

ბილინგტონის ფილოსოფია

მთავარია, ცხოვრებაში არ იყო შემცვლელი

„ყველას თავისი გზა აქვს. 17 წელია, პროფესიულ ჰოკეის ვთამაშობ და ვიცი, რაც მევალება — მზად ვიყო მაშინ, როცა საჭიროა" — ვაშინგტონელთა მეკარე კრეიგ ბილინგტონი ფილოსოფიურად უდგება როგორც ცხოვრებას, ისე პროფესიას. დიდი ხანია, კრეიგი თამაშობს, მაგრამ ვერა და ვერ გახდა რომელიმე გუნის პირველი მეკარე. თუმცა წლების მანძილზე იგი ლიგის საუკეთესო „ბექაპად" (შემცვლელ მეკარედ) ითვლება. ბილინგტონი პატრიკ რუასთან ერთად კოლორადოს დასაყრდენს დიდხანს წარმოადგენდა. ახლა კი, საჭიროების შემთხვევაში, ვაშინგტონში კოლციგს ცვლის. ზედიზედ 19 თამაშისა და „ოლ სტარზის" შემდეგ ოლაფს, ცხადია, დასვენება სჭირდებოდა. კრეიგს თვეზე მეტია, არ უთამაშია, მაგრამ გავიდა თუ არა ყინულზე, თავისი მოვალეობა პატიოსნად შეასრულა. ბოსტონთან შეხვედრაში მისი გუნდი ფრეს აშკარად არ იმსახურებდა. მასპინძლებმა დარტყმების რაოდენობით 51-15 (!) აჯობეს მეტოქეს. განსაკუთრებით მძიმე, ბილინგტონისთვის პირველი პერიოდი და ოვერტაიმის ბოლო წუთებში გამოდგა (ვაშინგტონი 69 წამის განმავლობაში უმცირესობაში იყო), მაგრამ სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ივარგა მეკარემ.

როგორც ჩანს, ლიგაში კიდევ ერთი უდრეკი სულისა და უტეხი ნებისყოფის გუნდი იბადება. სენტ ლუისმა თავისი ლამაზი თამაშითა და გამორჩეული სტილით უკვე ბევრი ქომაგი მიიზიდა. თუმცა სეზონის დასაწყისში ძლიერ კონკურენტებთან ხშირად მარცხდებოდა. ახლა „ბლუზმენები" ნებისმიერ სიტუაციაში პოულობენ გამოსავალს და თავისიც ხშირად გააქვთ. ამჯერად სენტ ლუისმა დეტროიტს მისსავე ყინულზე აჯობა. მატჩის მსვლელობისას დეტროიტის ბრძენმა თავკაცმა სკოტი ბოუმენმა რა ხერხს არ მიმართა, გადაადგილებებიც მოახდინა სამეულებში, მაგრამ ამაოდ. ერთობ არადამაჯერებლად ითამაშა დეტროიტის მეკარემ კრის ოსგუდმა, რომელსაც პირველ ორ გოლში ნაწილობრივ მიუძღვის ბრალი.

გამოჯანმრთელებულმა დომინიკ ჰაშეკმა ის გააკეთა, რასაც მისგან ყოველთვის ელიან. ალბათ მიხვდით, „დომინატორმა" კოლორადოში შატაუტი (კარიერაში 43-ე) მიითვალა. საამისოდ ჩეხს, რომელსაც „ოლ სტარზში" მონაწილეობა არ მიუღია, 29 დარტყმის მოგერიება მოუხდა, თუმცა მისივე თქმით, სულაც არ გასჭირვებია, რადგან პარტნიორები კარგად ეხმარებოდნენ. მიროსლავ შატანმა კი, რომელიც ბუფალოელთაგან ერთადერთი იყო „ოლ სტარზზე", გოლს პასიც დაამატა.

დღესდღეობით დასავლეთში ისეთი სიტუაციაა, რომ შეიძლება პლეი ოფში წყნარი ოკეანის დივიზიონის ხუთივე (!) გუნდმა გააღწიოს. აქედან ერთ-ერთმა, ანაჰაიმმა 2000 წელი ძალიან უნიათოდ დაიწყო, მაგრამ გონს დროზე მოვიდა და ზედიზედ ხუთი წაუგებელი მატჩის შემდეგ კვლავ საპლეიოფო ბრძოლაში ჩაება. ცხადია, ეს პოლ კარიასა და ტეემუ სელიანეს დუეტის ძალისხმევით მოხდა, რომელთაც ჩინებულად დაეხმარა მცველი ოლეგ ტვერდოვსკი.

ბრწყინვალე დასაწყისის მერე ერთობ შეფერხებულმა სან ხოსეს ლიდერებმა კი ჯავრი მაჩანჩალა ტამპაზე იყარეს. 9 თამაშის განმავლობაში უგოლოდ მოასპარეზე ჯეფ ფრიზერმა 4 (2+2) ქულა მიითვალა, ხოლო „ზვიგენთა" კაპიტანმა ოუენ ნოლანმა უფრო მეტი — 5 (2+3).

ედმონტონს საოვერტაიმო სინდრომი აღარ აწუხებს. დამატებით დროში ზედიზედ მეორე მოგებას, მონრეალელი ტრევორ ლინდენის, კარიერაში მე-5 ჰეთ თრიქმაც ვერ შეუშალა ხელი.

კაროლინას ვეტერანმა რონ ფრენსისმა კი კლუბში გატანილი მე-300 გოლით, „ჰერიკეინსს" მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა.

სამველ ლარიბიანი

REUTERS დენვერიდან

კოლორადოელი ადამ ფუტი (52) საკუთარ კარსა და მეკარე პატრიკ რუას გადაეფარა და ბუფალოელ მიროსლავ შატანს აღარ გაატანინა

16 ტური

საუკეთესო მოთამაშე

გოჩა არსიაშვილი
-თსუ-

გოჩა არსიაშვილის ფოტო

შეიძლება ითქვას, რომ თსუ-მ საკუთარ თავს აჯობა მესამე ადგილზე მყოფ სტუ-სთან მატჩში და ტექნიკოსების დამარცხებით სატურნირო მდგომარეობა საკმაოდ გაიუმჯობესა. თსუ-ს გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო გამოცდილმა ფორვარდმა გოჩა არსიაშვილმა, რომელმაც თავის საკალათბურთო კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

— გოჩა, პროგნოზების საპირისპიროდ თქვენმა გუნდმა შეძლო სტუ-ს დამარცხება, რომელსაც საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს და მიზნად, სულ მცირე, ფინალში გასვლას გეგმავს. თქვენ თუ ელოდით, რომ თსუ შეძლებდა ასეთი ამბიციების მქონე გუნდის დამარცხებას?

— თსუ ყველა შეხვედრაში გამარჯვებისთვის იბრძვის და სულაც არ გამკვირვებია, რომ ორი ქულა მოვიპოვეთ.

— მაშ, რით ახსნით წინა ტურში „ვითასთან“ (70:78), მანამდე კი „ბასკოსთან“ საკმაოდ დიდი ანგარიშით (91:126) დამარცხებას?

— მხოლოდ მოთამაშეთა გამოუცდელობით და ერთმანეთთან შეუთამაშებლობით. გუნდში ყველაზე გამოცდილებად მე და გოჩა წოწელია ვითვლებით. ჩვენზე უფრო მრავალნაცადი გიორგი ბერუაშვილი მხოლოდ წლეულს შემოგვიერთდა და მასთან შესათამაშებლად დროა საჭირო. დანარჩენები სულ მთლად ახალგაზრდები და ძირითადად ახალწვეულები არიან. რაც თსუ-ში ვთამაშობ, გუნდის შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება და აღნიშნულიდან გამომდინარე, სტაბილურად თამაში და მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გვიჭირს.

— ამჯერად რამ განაპირობა თსუ-ს წარმატება სტუ-სთან შეხვედრაში?

— დაცვაში კარგმა თამაშმა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გიორგი ბერუაშვილი, რომელმაც თსუ-ში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.

— თქვენს შესახებ რას გვეტყვით, საკუთარი თავით კმაყოფილი დარჩით?

— უნაკლოდ არ მითამაშია, მაგრამ რადგან „სარბიელის“ ყურადღება დავიმსახურე, გამოდის, რომ მეც შემიტანია გარკვეული წვლილი თანაგუნდელთა წარმატებაში.

— მატჩის ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ, პირველ ტაიმში მხოლოდ 6 ქულა გაიკეთეთ...

— პირველი ტაიმის პირველივე ნახევარში მივიღე 3 პერსონალური, ამიტომ მწვრთნელებმა სათადარიგოთა სკამზე დამსვეს. ტაიმის 3 ქულით (34:37) წაგების შემდეგ მეორე ნახევარში დასაკარგი აღარაფერი გვქონდა და მწვრთნელებმა თამაშის საშუალება მომცეს.

— ადრე შორიდან თითქმის არ ისროდით. ამჯერად კი მეტად მნიშვნელოვანი ორი სამქულიანი ჩაგდეთ. რას შეიძლება მივაწეროთ ეს, შემთხვევითობას თუ...

— ჩემი სიმაღლის (197 სმ) მიუხედავად, თსუ-ში მისვლისთანავე, რადგან ტანმაღალი კალათბურთელები არ გვყავდა, სულ ცენტრში მიწევდა თამაში და სამქულიანების სროლასაც ამიტომ ვერიდებოდი, თორემ ჭაბუკობისას შორიდან სროლებს საკმაოდ კარგად ვასრულებდი. ამჯერად გუნდში გიორგი ბერუაშვილის, ვანო აბულაძის და ზურაბ სანიკიძის სახით სამი ცენტრი გვყავს. ამიტომ მე ცენტრიდან უკან დავიხიე და ხშირად ფლანგებიდანაც მიწევს თამაში. ჩემი ახალი ამპლუადან გამომდინარე, გადავწყვიტე, შორიდან სროლებიც ავითვისო.

— რადგან თქვენ პირველად გახდით ტურის საუკეთესო მოთამაშე, მოკლედ გვიამბეთ თქვენს შესახებ.

— დავიბადე თბილისში, 1976 წლის 4 იანვარს. 1998 წელს დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი წარმოების ეკონომიკისა და მართვის განხრით. 1988 წლიდან ჩემს ძმა ლევანთან ერთად ვარჯიში დავიწყე დიდუბეში წერეთლის პროსპექტზე მდებარე ბავშვთა საკალათბურთო სკოლაში ნიაზ დანელიას ხელმძღვანელობით. 1993-ში ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იმ წლიდან მოყოლებული დღემდე თსუ-ს საკალათბურთო გუნდში ვარ.

— თსუ-ში თქვენთან ერთად ლევანიც ხომ თამაშობდა?

— ლევანი ჩემთან ერთად კი თამაშობდა, მაგრამ ტერფის სახსარი გადაიბრუნა და ორი წლით გამოვკლდა. მერე მან რამდენიმე თვე „შევარდენში“ გაატარა და რადგან მალე სპეციალობით სამსახური იშოვა, გადაწყვიტა, კალათბურთისთვის თავი დაენებებინა. ისე, სკოლაც ერთად დავამთავრეთ და უნივერსიტეტიც, თანაც, ერთი განხრით.

— თქვენ და ლევანი ძმები კი ხართ, მაგრამ ტყუპებივით ერთად რატომ დადიოდით სკოლაში?

— ტყუპები არ ვართ, მაგრამ ერთ წელს დავიბადეთ — მე იანვარში, ლევანი კი დეკემბერში. ძმობლებმა მოინდომეს, ერთ კლასში გვესწავლა და ჩემი ძმა ცოტა ადრე მიიყვანეს სკოლაში.

— თსუ-ს მატჩების დროს დაყვირვებული თვალი ხშირად შეამჩნევს ტრიბუნაზე განმარტოებით მჯდომ კაცს, მამათქვენს — ვარდენ არსიაშვილს. ბატონი ვარდენის სურვილი ხომ არ იყო, რომ მისი ბიჭები კალათბურთელები გამოსულიყვნენ?

— მამაჩემი ყოფილი მძლეოსანია, რომელიც ადრე თარჯრბენში ვარჯიშობდა. კალათბურთზეც მან მიმიყვანა. ხშირად მიუტოვებია სამსახური და ჩემი თამაშის სანახავად მოსულა. იგი ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და ობიექტური შემფასებელია.

— დიდუბეში მძლეოსნობის მანეჟი და საკალათბურთო სკოლა გვერდიგვერდ მდებარეობს. რატომ არ ისურვეთ, რომ ოჯახური ტრადიცია გაგეგრძელებინათ?

— თარჯმორბენალს მაღალი ფეხები და მსუბუქი ტანი უნდა ჰქონდეს. მე კი ჩასკენილი და ძვალშსხვილი ვიყავი.

— საბოლოოდ თქვენც ძმასავით ეკონომისტობას აპირებთ თუ კალათბურთში დარჩებით?

— დღეს ჩემთვის კალათბურთია უპირველესი და სამსახურზე არც მიფიქრია. ისეთი მაცდუნებელი არც არაფერია, რომ სპორტს თავი დავანებო.

— თსუ-ში გატარებული ზედიზედ შვიდი საკალათბურთო სეზონის შემდეგ, გინდათ თუ არა, დღესდღეობით კლუბის ყველაზე ერთგული კალათბურთელი ხართ. სხვა გუნდში გადასვლა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?

— რატომაც არა, ოღონდ გუნდსა და პირობებს გააჩნია.

როლანდ ლაგუჩიძე

რევაზ ჩხეიძე მხიარულ ქალაქში

ოდესის მერმა და ჩხიროომ ერთმანეთს გაუგეს

რევაზ ჩხეიძე

გუშინ დილეგჯაშვილის ფოტო

გახსოვთ უკრაინული „ბიპა მოდა“? ოდესის ეს საკალათბურთო გუნდი ამ ხუთი წლის წინ თბილისსაც სტუმრობდა კორაჩის თასზე ჩვენებურ „მერანთან“ სათამაშოდ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, „მერანი“ ისტორიის კუთვნილებად იქცა, თქვენ წარმოიდგინეთ, „ბიპა მოდაც“...

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბევრი რამ შეიცვალა ამ კლუბში. „ბიპა მოდამ“ სახელიც გამოიცვალა, პატრონიც და ახლა მუნიციპალურ საკალათბურთო გუნდად იწოდება, უბრალოდ — მბკ.

ყველაფერი ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ კალათბურთის ქართველ ქომაგს ამიერიდან ამ კლუბის გულშემატკივრობაც მოუწევს. ორიოდ კვირის წინ ეროვნული ნაკრების უკანახაზელმა რევაზ ჩხეიძემ მიაშურა ოდესას და სულ ახლახან მბკ-ს ოფიციალურად გაუფორმა კონტრაქტი.

ჩხიროსთან საუბარს აქამდე ვერაფრით ვახერხებდით. მისი ბედი გარკვეული არ იყო და შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილიც დაუზუსტებელი გახლდათ. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ჩვენებური ერთ-ერთ ძველ ნაცნობთან ბინადრობდა...

ქართველ ლეგიონერთან სასაუბროდ მსგავსი პრობლემა აღარ შეგვაწუხებს. მბკ-ს კალათბურთელ რევაზ ჩხეიძეს უკვე საცხოვრებელიც გამოუყვეს ქალაქის ცენტრში. ეს შევიტყვეთ და მისი ტელეფონიც აწკრიალდა...

— საკუთარ ბინაში ახლახან გადმოვედი. მანამდე ბევრი ვარჩიე, აქაურებმა რამდენიმე ბინა დამათვალიერებინეს, თუმცა ყველაზე მეტად ეს მომეწონა. თავს მშვენივრად ვგრძნობ, ყველაფრით უზრუნველყოფილი ვარ.

— ოდესაში როგორ აღმოჩნდი?

— ადრეც ხომ მითქვამს, სამი-ოთხი წინადადება მაქვს და ახლო მომავალში რომელიმეს შევარჩევ-მეთქი. მაშინ ოდესის ვარიანტსაც ვგულისხმობდი, უბრალოდ გამხელა არ მინდოდა. უკრაინელები ახალ წლამდე დამიკავშირდნენ და ოდესაში ჩასვლა მთხოვეს. მათი ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ თებერვლის პირველ რიცხვებში უნდა ჩავსულიყავი, რადგან ოთხში ლეგიონერთა დამატების ვადა იწურებოდა. ბევრიც აღარ მიფიქრია, ოფიციალური მხარე მოვაგვარე და გავემგზავრე.

— დაინტერესება საიდან წამოვიდა? ნანახი ჰქონდათ უკრაინელებს შენი თამაში?

— თავადაც გაოცებული დავრჩი, თითქმის ყველაფერი იცოდნენ. ჩემი თამაში კასეტაზე ენახათ, მწვრთნელსაც მოვწონებივარ და...

— კასეტები საიდან?

— ისრაელში ჩემთან ერთად უკრაინელი ბიჭი თამაშობდა, ვიტალი გუსენკო. ახლა ისიც მბკ-შია, კასეტებიც თურმე მას ჰქონია. როცა უკანახაზელის დამატება გადაწყვიტეს, გუსენკოს გავხსენებივარ და მწვრთნელი, ვალერი ლებედინცევიც დაუინტერესებია ჩემით. ასე მოვხვდი ამ კლუბში.

— კონტრაქტი მალევე გააფორმე?

— თავდაპირველად გამსინჯეს, ორი-სამი ვარჯიშის მერე კი მიმახვედრეს, რომ კმაყოფილები იყვნენ. კონტრაქტის გაფორმება დროის ამბავიღა იყო.

— რამდენწლიანზე შეთანხმდით?

— სეზონის ბოლომდე აქ დავრჩები, უფრო სწორად, მბკ-ს უკანასკნელი ოფიციალური შეხვედრის შემდეგ გათავისუფლდები. გამორიცხული არაა, კვლავაც აქ გავაგრძელო თამაში, უბრალოდ, ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ახლა მთავარია, კარგად აეწყოს საქმეები და ჩემი ადგილი მოვნახო გუნდში.

— სხვა ლეგიონერებიც ჰყავს მბკ-ს?

— ჩემს გარდა ერთი რუსი ცენტრი ჰყავთ, დენის პეტინიოვი. დანარჩენები უკრაინელები არიან.

— როგორი შთაბეჭდილება შეგექმნა, ძლიერი გუნდია მბკ?

— წინა წლის ქვეყნის ჩემპიონია. ახლა მეორე ადგილზე ვართ და მხოლოდ ქულით ჩამოვრჩებით „ბკ კიევს“. საკმაოდ სერიოზული გუნდია და მიზნებიც ასეთივე აქვს. ხელმძღვანელობა სულ ცოტა ფინალში გასვლას გეგმავს, რაც ახალშექმნილ ჩრდილოეთ ლიგაში თამაშის შესაძლებლობას მოგვცემს. ბმკ ძალიან ძლიერი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული, სამი მოთამაშე უკრაინის ეროვნული ნაკრების წევრია, შედარებით ცნობილნი არიან მიხაილ მელნიკოვი, ვიქტორ სავჩენკო და ოლეგ ტკაჩი. ეს უკანასკნელი ეხსომებათ გულშემატკივრებს, დონეცკის „შახტიორმა“ ჩვენს „ახოტს“ თბილისში ტკაჩის ბოლო წამზე ჩაგდებულით მოუგო.

— გუნდის სათამაშო ტაქტიკაზე რას იტყვი?

— კომბინაციურ კალათბურთს მისდევენ-მეთქი, ვერ ვიტყვი. ვარჯიშებზე ვამუშავებთ კომბინაციებს, საამისოდ ყველანაირად მომზადებულები ვართ, უბრალოდ თამაშის დროს ნაკლებად ვიყენებთ. არაა ისეთი ტენდენცია, გინდა თუ არა, ამ ტაქტიკით ითამაშოს გუნდმა. მწვრთნელი ლებედინცევი მაინცდამაინც არ გვზღუდავს, კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ მითითებებს გვაძლევს. მბკ-ს პლუსი ისიც არის, რომ მაღალი გუნდია და ფარზე თამაშისას ნაკლები პრობლემები ექმნება. სხვა მხრივ, საქართველოსგან განსხვავებით, ძალიან კონტაქტურ და ძალისმიერ კალათბურთს თამაშობენ.

— ახალ გარემოსთან შეგუება არ გაგიჭირდა?

— მხოლოდ თავიდან. ორჯერად ვარჯიშებს მიუჩვეველი ვიყავი და საამისოდ დრო მჭირდებოდა. თანაც აქ ძალიან ინტენსიური წვრთნაა. ახლა უკვე შევეგუე, ნელ-ნელა რითმსაც ავყევი და დღეში ორჯერ ვარჯიში ჩვეულებრივ ამბად მექცა.

— თუ არ ვცდები, უკვე ორ ოფიციალურ შეხვედრაშიც გათამაშეს...

— ჩემდა გასაკვირად, ლებედინცევმა პირველივე მატჩი ხუთეულში დამაწყებინა. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია, ოცდაოთხ წუთში თორმეტი ქულა, ოთხი პასი და სამი ჩაჭრა იყო ჩემი მონაგარი, ორჯერ კი დავკარგე ბურთი. მეორე მატჩში დნეპროპეტროვსკელებთან მწვრთნელმა მთელი მეორე ტაიმი მათამაშა, აქაც ათი ქულა მოვაგროვე. ერთი სიტყვით, წარმატებული დებიუტი გამომივიდა. თანაც ორივე თამაში დიდი სხვაობით მოვიგეთ.

— კონკრეტულად რა ფუნქციას ასრულებდი მოედანზე?

— მწვრთნელებმა ჩემს ამპლუაში, მსროლელად გამამწესეს. რაც აქ ვარ, სულ მეორე ნომრად მთამაშებენ, მერე კი იქნებ გამთამაშებლობაც დამაკისრონ. ეს რგოლი მბკ-ში ყველაზე სუსტია და სამომავლოდ გაძლიერებას აპირებენ, მანამდე კი გამთამაშებლობას, ალბათ, მეც შევითავსებ-ხოლმე.

— თანაგუნდელებთან კარგი ურთიერთობა დაამყარე?

— გუსენკოს დახმარებით მალევე დავუახლოვდი ბიჭებს. კარგი ხალხი ჩანს, ვფიქრობ, ბევრს დავუმეგობრდები. როგორც შინაურს, ისე მეპყრობიან და მეც კარგად ვგრძნობ თავს. ისე, მსგავსი პრობლემა კარიერაში არასდროს შემქმნია.

— თავად ქალაქს როგორ შეეგუე? უცხო გარემო, ცხოვრების სხვა რიტმი...

— ოდესაში, ჩემი თაქმა რად გინდა, ვინ მოგაწყენს, ყოველმხრივ ჩინებული ქალაქია. კალათბურთელებიც ძალიან დაფასებულები ვართ, ყოველ წუთს ყურადღებას ვგრძნობ. მბკ ოდესის მერის საკუთრებაა. სწორედ ის გახლავთ კლუბის პრეზიდენტი და არც არაფერს გვაკლებს. ნამდვილად გამიმართლა, რომ აქ მოვხვდი, ყველანაირად კმაყოფილი ვარ. დღეს ასეა და, ალბათ, არც მერე შეიცვლება რაიმე.

გიორგი ბიკაშვილი

პროფესიონალი მორბენალი ოლეგ ხარაზიშვილი მოსამზადებლად იწვევს სპორტსმენებს საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

ჯგუფებში ჩაწერა 11-დან 20 თებერვლამდე 11-დან 18 საათამდე.

მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი 49, სპორტის აკადემიის სტადიონი.

მიიღებიან სპორტის ყველა სახეობაში მოვარჯიშენი, ასევე ყველა ასაკის ადამიანები, რომელთაც სურთ გაიკაჟონ ჯანმრთელობა.

ანაზღაურება შეთანხმებით.

☎ 69 83 92, ოლეგი

რეგულარული ჩემპიონატი

ადმირალმა სიეტლი ჩაქირა

8 თებერვალი

სან ანტონიო 79:77 სიეტლი

სან ანტონიო: ჯონსონი (8), ელი (2), ჯეკსონი (6), დანკანი (22 ქულა, 10 მოხსნა), რობინსონი (19 ქულა, 11 მოხსნა); დანიელსი (7), პორტერი (6), კერსი (5), როუზი (4)

სიეტლი: პეიტონი (17 ქულა, 16 მოხსნა, 5 პასი), ბერი (12), პატერსონი (8), ბეიკერი (18), გრანტი (3); ვილიამსი (8), მაკკოი (5), პერსონი (4), ლუისი (2), სტეფანია, დევისი

ამ შეხვედრაში ფავორიტად მასპინძელი „სან ანტონიო" მიიჩნეოდა, ისევე როგორც მიმდინარე სეზონის წინა ორ მატჩში, მაგრამ იმ ორ შეხვედრაში სტეფანიას გუნდმა იმარჯვა. ასე რომ, ჩემპიონს რევანში სწყუროდა. თან მშობლიურ „ალამოდოუმში", ერთგულ გულშემატკივრებთან თავს ხომ არ შეირცხვენდა? „სიეტლიც" კიდევ ერთხელ შეეცდებოდა, დაემტკიცებინა, გასული სეზონის ტრიმფატორის ტანჯვა სხვაზე კარგად მეხერხებაო. მით უმეტეს, ამ ბოლო ხანებში სტეფანიას გუნდი ხშირად აგებს და ვეღარ ეგუება ასეთ მდგომარეობას. მეტოქეებს თავგამოდების სხვა მიზეზიც ჰქონდათ — მეასედ წარდგნენ ერთმანეთის წინაშე რეგულარულ ჩემპიონატში. „სიეტლი" 51-ჯერ გამოსულა გამარჯვებული, მის მეტოქეს 48-ე ჯერ რგებია ეს პატივი. გამარჯვებას მოწყურებული მოწინააღმდეგეები დასაწყისშივე გამეტებით დაეძგერდნენ ერთმანეთს და ამ ტიტანთა შერკინებაში ლამის სტუმართა ქართველი ცენტრი, ვოვა სტეფანია გაიჭყლიტა.

ჩვენებურის მონაწილეობა ამ ომში ცოტა მოულოდნელიც იყო. მწვრთნელი ვეტფოლი ვოვას მაინცდამაინც არ სწყალობს, ამ ბოლო ხანებში კი თუ ორიოდ თამაშს არ ჩავთვლით, სულაც მიივიწყა. თუმც, რაოდენ მოულოდნელადაც არ უნდა გეჩვენოთ, შეუშვეს იგი ამ ბრძოლაში. ქართველმა ვერაფერი იღონა და ეს არცაა გასაკვირი, მას ხომ თვით ტიმ დანკანისა და დევიდ რობინსონის წინააღმდეგ უნდა ეთამაშა. საბოლოოდ ვოვამ იმ მცირე ხნის განმავლობაში, რაც მოედანზე დაჰყო, ერთი მოხსნა და ერთი ჩაჭრა გაახერხა, თუმც ორჯერ დაჯარიმდა, ერთხელაც ბურთი დაკარგა და დამფრთხალმა ვესტფოლმა სამი წუთის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე დაბარუნა. სხვათა შორის, ვესტფოლმა თითქმის ყველა სათადარიგო შეუშვა მოედანზე, მაგრამ თამაშით გული ვერავინ იჯერა. მოედანზე ათ წუთზე მეტხანს ყოფნა შემცველელთაგან მხოლოდ შემონდ ვილიამსს ხვდა წილად, ვესტფოლი ალბათ შიშობდა, ემანდ აწყობილი საქმე არ ჩამიშალონო.

შეხვედრა რომ ძალიან დაძაბულად წარიმართა, ამაზე ანგარიშიც მეტყველებს. ორივე გუნდი, სტუმარიც და მასპინძელიც, დაცვაში უკეთ გამოიყურებოდა, თუმც შეტევასაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ჩვეულად ვერ ირჯებოდა გერი პეიტონი, ქულაც ცოტა შეაშველა თავისიანებს და ვერც შეტევების ორგანიზებაში ივარგა ჩვეულად. საბოლოოდ მხოლოდ ხუთ შედეგიან გადაცემას დასჯერდა. სამაგიერდ, პეიტონი ისე იბრძოდა ფარქვეშ, რომ გამთამაშებელს კი არა, ცენტრს შეშურდებოდა. იგი მეტოქეთა ბლომად აცილებულ ბურთს დაეპატრონა, სულ 16 მოუგროვდა და თავისი ათწლიანი კარიერის რეკორდიც დაამყარა. ეს მაშინ, როცა სიეტლელთა ორ საუკეთესო მომხსნელს — ვინ ბეიკერსა და ჰორას გრანტს ერთად მოუგროვდათ პეიტონზე სამით ნაკლები მოხსნა. 193-სანტიმეტრიანმა პეიტონმა თვით დანკანსა და რობინსონს აჯობა.

არ შერცხვა და „სან ანტონიოს" ყმაწვილ ლიდერს თავი არ დაჩაგვრინა ვინ ბეიკერმა. იგი კარგად შეებრძოლა მასპინძელთა ყველაზე საშიშ მოთამაშეს, მაგრამ ბებერ დევიდ რობინსონს ვერაფერი მოუხერხა არანაკლებ ასაკოვანმა ჰორას გრანტმა. ხანდაზმულმა „ადმირალმა" არ დაინდო ტიტულიანი გრანტი, შეტევაშიც სატიკად გააბითურა და დაცვაშიც სალ კლდესავით აღიმართა საკუთარ ფარსა და მეტოქე გუნდს შორის. მატჩის შემდეგ მისი დამრიგებელი გრეგ პოპოვიჩი აღფრთოვანებული იყო. ფასდაუდებელია მისი ტიტანური გარჯა დაცვაშიო, ამბობდა.

REUTERS ჰიუსტონიდან

ჰიუსტონი — კლივლენდი. ჰიუსტონელმა კელვინ კატომ ჩატენა

რობინსონი მთელი მატჩის განმვლობაში კარგად თამაშობდა, მაგრამ მატჩის მიწურულს მისმა გამოცდილებამ, მართლაც დიდი სამსახური გაუწია მასპინძლებს. პეიტონის, ბეიკერის და სხვათა შედეგიანი გარჯის შემდეგ „სიეტლმა" ბოლო მეოთხედში ზედიზედ რვა ქულა მოაგროვა და მატჩის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე ექვსი ქულის სხვაობით გაექცა მეტოქეს. სტუმრები ასევე წარმატებით მიიყვანდნენ საქმეს ბოლომდე, „ადმირალს" რომ არ ევაჟკაცა. მან დარჩენილ დროში სამჯერ დაუფარა მომხდურებს, შეტევაშიც თავისიანთა ბოლო რვა ქულიდან ექვსი პირად ანგარიშზე ჩაიწერა და 79:77-ზე როცა სულ 11 წამი რჩებოდა, ფარქვეშ შეჭრილ შემონდ ვილიამსის ნასროლს დაეფარა.

ტორონტო 109:88 ატლანტა

ტორონტო: კარტერი (36)

ატლანტა: მუტომბო (22 ქულა, 15 მოხსნა)

ნიუ ჯერსი 131:113 ბოსტონი

ნიუ ჯერსი: მარბერი (30 ქულა, 10 პასი), ვან ჰორნი (30)

ბოსტონი: უოლკერი (27), პირსი (17 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)

ჰიუსტონი 91:83 კლივლენდი

ჰიუსტონი: ანდერსონი (23 ქულა, 10 მოხსნა)

კლივლენდი: კემპი (23 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (21)

ფინიქსი 94:76 ვანკუვერი

ფინიქსი: ლონგლი (20)

ვანკუვერი: დიკერსონი (19)

საკრამენტო 119:80 ჩიკაგო

საკრამენტო: ვებერი (22 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ანდერსონი (19)

ჩიკაგო: ბრენდი (25 ქულა, 10 მოხსნა)

წარმოუდგენლად ჩამოქვეითდა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საკმაოდ კარგი გუნდი „ატლანტა ჰოქსი". ჯორჯიელები 90-იან წლებში პლეი ოფების მუდმივი მონაწილენი იყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, 2000 წელს არაფერი გამოუვათ. კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის დასაწყისში რამდენიმე სერიოზული ცვლილება განახორციელა შემადგენლობაში, სტივ სმიტი და მუკ ბლეილოკი წყნარი ოკეანის დივიზიონის გუნდებს სხვებში გაუცვალა, ახლა კი საქმე თავში საცემად აქვს, ეს რა გავაკეთეთო. მართალია, ახალწვეული აიზია რაიდერი ბლომად ქულებს აგროვებს, მეთხუთმეტეა ლიგის ბომბარდირთა შორის, მაგრამ რაში ადგებათ მისი ქულები, როცა გუნდში მოთამაშეებს შორის კავშირი დაირღვა და „ჰოქსიც" უიმედოდ აგებს თამაშებს. ძველებურად მყარად ისევ ზაირელი ახმახი დიკემბე მეტომბო დგას. იგი „ოლ სტარშიც" მოხვდა, მაგრამ მარტო კაცი ჭამაშიაც რომ ბრალია, გუნდისთვის ვერაფერი ნუგეშია.

„ატლანტამ" ბევრი თამაში უიმედოდ წააგო და ახლა ვერც აღმავლობის გზაზე დამდგარ „ტორონტოს" წაუხდინა გუნება. კანადურ გუნდს, ჯორჯიელისგან განსხვავებით თვალი პლეი ოფისკენ უჭირავს და იქ ალბათ კიდეც მოხვდება, კლუბის ხუთწლიანი არსებობის მანძილზე პირველად. ამის გარანტიას „რეპტილიათა" ლიდერი ვინს კარტერი წარმოადგენს. ამ ჭაბუკმა ლამისაა ყველა ახალი თაობის ვარსკვლავი დარჩდილოს, რადგან ჩატენვები და სხვა მისთანები ყველაზე უკეთ ეხერხება და მის თამაშს წარმატებებიც საკმაოდ მოაქვს. კარტერმა „ქორებს" ლამის მარტო მოუგო. მუხედავად იმისა, რომ ორიოდე დღის წინ თითი უტკენია და შეხვეულიც ჰქონდა, კარტერმა ბლომად ქულები აგროვა, ბევრიც ტენა, რაშიც 160-სანტიმეტრიანი კაცის, მაგსი ბოგსის პასებმაც შეუწყო ხელი.

ახალი თაობის კიდევ ერთი იმედისმომცემი კალათბურთელი, ჰიუსტონელი სტივ ფრენსისი ტრავმას შეუწუხებია და თამაშს კი არა, მოედანზე გასვლას ძლივს ახერხებს. „კლივლენდს" ფრენსისმა სულ ოთხი ქულა ჩაუგდო და მალევე დაჯდა სკამზე, რადგან მარჯვენა მუხლმა ისევ შეაწუხა. ამ ტრავმამ ფრენსის შეიძლება „ოლ სტარის" შოუ პროგრამაში მონაწილეობაზე უარი ათქმევინოს, სადაც იგი ახალბედების მატჩში თამაშს და ჩატენვების კონკურსში მონაწილეობას აპირებდა. მისმა „ჰიუსტონმა" ბოლო მეოთხედში შენდონ ანდერსონის თთავგამოდების წყალობით შინ მოუგო „კლივლენდს".

ირაკლი ფირაბვილი

EURO LEAGUE — ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. V ტური. 9 თებერვალი

F ჯგუფი	H ჯგუფი
პაოკ 70:74 ოლიმპია	ულძერი 71:72 ციბონა
G ჯგუფი	პივოვარნა 77:78 ფორტიტუდო
გუდუჩნოსტი 82:70 ოლიმპიაკოსი	ვარეზე 76:79 ეფესი

საპორტას თასი

მერვეადფინალი. პირველი მატჩები. 8-9 თებერვალი

პორტუ (პორტუგალია) — დარუშაფაკა (თურქეთი) 81:78

პორტუ: მორეირა, პინტუ (15), გრანტი (4), სანტოსი (2), მილერი (16), პედრერა (27), პერდიგაო (17), როჩა

დარუშაფაკა: ანსლი (28), ერთაში, გრინი (8), გიულერი (14), მ. კაპიაოღლუ (8), ო. კაპიაოღლუ (6), ქანანი (4), ქოშედაგი, ნოსოვი (10)

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 78:91

ჰაპოელი: არაპოვიჩი, კოენი (14), ა. კაცი (10), ე. კაცი (2), ლექსერი (10), ტამირი (3), თურჯემანი (3), ვალდმანი (12), ვილიამსი (24)

ლიეტუვოს რიტასი: აიდიეტისი (3), ელიოტი (32), გედრაიტისი (10), იავტოკასი, კაზლაუსკასი (9), მასიაუსკასი (8), ოკუნსკი (13), შიშკაუსკასი (16), სლეზასი

სპლიტი (ხორვატია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 63:71

სპლიტი: ბადეიმი (9), ჰენიაკი (6), ლოვრიჩი, პოლიაკი (2), სუბოტიჩი (9), ტომელიაკი, ტვრდიჩი (24), ვუიჩიჩი (8), ზემლიჩი (3), ეიეიჩი (2)

ირაკლისი: ხაძივრეტასი (16), დიამანტიდისი (2), დინკინსი (20), ჰუპმანი (4), ჯონსონი (15), ნაპარი, პაპადოპულოსი (3), საუერი (11)

შალონ-საონი (საფრანგეთი) — პამესა (ესპანეთი) 83:75

შალონ-საონი: ბეინა (5), გეტლინი (26), ჰეი (6), მელისი, ნებო (8), ოსტროვსკი (16), ოუენსი (16), რობინსონი (6)

პამესა: გარსია, გრასია, ალვარესი (11), ბერდი (20), ბურხოსი, ჰოპკინსი (20), ლუენგო (1), მალუენდა (17), როდილია (6)

ტაუ (ესპანეთი) — აეკ (საბერძნეთი) 67:71

ტაუ: ბენეტი (8), ესპილი (20), ესტელერი (8), ფუარე (6), გარბახოსა, მილზი (11), მორალესი (9), ობერტო (3), როდრიგესი (2)

აეკ: ბოუი (16), ხაძისი (4), ჰანსელი (2), კაკიუზისი (11), კორონიოსი (7), მიუურსეპი (10), დიკუდისი (9), ოსალივანი (3), ცაკალიდისი (9)

ტატამი (გერმანია) — კინდერი (იტალია) 62:57

ტატამი: კოლიერი (12), ფრიში (3), გრეი, გუარასკი (2), კელეჩევიჩი (16), ლუტკე (5), ნიურნბერგერი (11), როლერი (9), ვიანინი (4)

კინდერი: აბიო, დ. ანდერსენი, მ. ანდერსენი, ანსალონი (2), ეკონომუ (12), ფროზინი (4), რიგოდო (16), სკონოჩინი (4), შტომბერგასი (19)

ცეპტერი (პოლონეთი) — ადეკო (იტალია) 75:57

ცეპტერი: გრეგოვი (10), კოსციუკი (5), მაკნაული (10), ობენონი (7), შტელმახერსი (8), შიბილსკი (8), ვოიჩიკი (17), ზიელინსკი (10)

ადეკო: ანტუნესი (6), ჯიძი (6), მაპელი (1), მიკელორი (6), პორტალუპი (10), რიჩარდსონი (19), საგიასი (9)

ზადარი (ხორვატია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 76:57

ზადარი: კომაზეკი (19), კრუნიჩი (13), პერინჩიჩი, რაჯა (25), ი. რუჟიჩი (17), ტ. რუჟიჩი (2), სტიუარტი

პარი სენ ჟერმენი: ასჩერიჩი (5), ჰარისი (12), ჰოვარდი (11), ჟულიენი (5), კინგი (14), რიპერტი, სკიარა (10), ზიგი

საპასუხო მატჩები გაიმართება 15-16 თებერვალს



REUTERS სპლიტიდან

სპლიტი — ირაკლისი 63:71. ირაკლისელი საშა ჰუპმანი (ბურთით) ნიკოლა ვუიჩიჩსა (მარცხნივ) და ივიცა ზემლიჩს შორის

გერმანია

XIX ტური

შტუტგარტი 1:3 ჰამბურგი
0:1, 0:2 იებოა (63, 66), 1:2 ენდრესი (67), 1:3 მაჰდავიკია (89)

დუისბურგი 2:0 უნტერჰახინგი
1:0 პაიტო (14), 2:0 რაისი (20)

ვოლფსბურგი 1:0 დორტმუნდი
1:0 რიშე (44)

ბაიერნი 4:1 ლევერკუზენი
1:0 ჰოფმანი (2ს.კ.), 2:0 ეფენბერგი (45), 3:0 შოლი (56), 3:1 ბალაკი (65), 4:1 ცი-კლერი (90)

აინტრახტი 2:0 ფრაიბურგი
1:0 სობოტჩიკი (32), 2:0 მუტცელი (81)

მეორე ბუნდესლიგა

ბოხუმი 2:1 ჰანოვერი
ობერჰაუზენი 0:0 კარლსრუე

ჰოლანდია

ტვენტე 1:0 ვალვაიკი
1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (4)

მაასტრიხტი 2:0 დენ ბოსხი
1:0 კორჩაგინი (25პ), 2:0 კაერსი (54)

ალკმარი 4:0 სპარტა
1:0, 2:0 ბოსმანი (16, 42), 3:0 ოუდამი (51), 4:0 პერესი (65)

ტილბურგი 3:1 ნაიმეგენი
0:1 შულცი (42), 1:1 ჰესპი (78ს.კ.), 2:1 შუკოვი (79), 3:1 რამსი (82)

სიტარდი 2:3 ფეიენოორდი
1:0 როესტი (73), 2:0 კრიკსმანი (47), 2:1 ბოსველტი (76), 2:2 კაირო (83), 2:3 ხულიო კრუზი (87)

იტალია

თასის ნახევარფინალი. I მატჩი

კალიარი 1:3 ინტერი

პორტუგალია

თასის მეოთხედფინალი

გიმარაეში 0:1 მორეირენსე
რიუ ავე 1:0 ბოავიშტა
სპორტინგი 3:0 დრაგშეში
პორტუ 3:0 ფაფე

ბელგია

ლიგის თასის მეოთხედფინალი

ლიერსი 4:2 ბრიუგე

ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

ესპანიოლი 5:1 კომპოსტელა
რეალი 1:0 მერიდა
ატლეტიკო 0:0 რაიო ვალეკანო



REUTERS პარიზიდან

ამელი და ბავშვები

შეზრო თავის მხარბეჭთა და ლესბოსელობით გამო განთქმული ფრანგი ქალ-ბიჭა ამელი მორესმო, რიგით მერვე „გაზ დე ფრანსის“ ქალთა საჩოგბურთო ტურნირის მონაწილეცაა და ხელშემწყობიც. ხელშეწყობის ამბავში ჩამდგარა ბავშვებში და ალბათ, ჩოგბურთზე ელაპარაკება.

REUTERS ფრანკფურტიდან

აიტრახტი — ფრაიბურგი 2:0. ფრანკფურტელთა მეკრე დიდუ ჰეინენმა მეტოქეს ბურთი არ დაანება

REUTERS შტუტგარტიდან

შტუტგარტი — ჰამბურგი 1:3. ჰამბურგელი ენტონი იებოა გოლის გატანას ზეიმობს

ჩოხოსანი ვენაში

ვენაში ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს და რუსები, ცხადია, საუცხოოდ ცეკვავენ. ელენა ბერეჟნაიას და ანტონ სიხარულიძის მოკლე პროგრამამ ყინულზე ცეკვის ტრფიალნი აღტაცებაში მოიყვანა. მრავალი ყინულის ჯადოქრის მნახველი ვენელები, ჩოხით მოცეკვავე ევგენი პლუშენკომ მთლად გადარია. არამ ხაჩატურიანის განთქმულ მელოდიაზე, მან ისეთი ჩამოუარა, რომ ბარე ორ წუთს ყინულიდან თაიგულებს კრეფდა.



REUTERS ვენიდან

REUTERS მიუნხენიდან

ჰერმინატორის ხვედრი

სადაც არ გამოჩნდება დიდი ავსტრიელი სამთომოთხილამურე ჰერმან მაიერი, მოსვენება არა აქვს. კალამი და ფურცელი გამზადებულია, ჰერმინატორის ავტოგრაფი ყველას სჭირდებაა. აი, მიუნხენშიც, სპორტული სამოსისა და მოწყობილობის გამოფენაზე, ჰერმანს თხილამურობის ტრფიალნი დასევიან. ასეთია გმირთა ხვედრი.

ვირჯინიის ხალიჩაზე

ვირჯინიაში, ჯორჯ მესონის უნივერსიტეტის დარბაზში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს თასის გათამაშება მიმდინარეობს. რუს ოლეგ ხარპაიოვს ქულებით მოგება სჭირდებოდა სპარს ალირეზა რეზაეისთან (მარჯვნივ), რათა რუსთა გუნდური გამარჯვება უზრუნველყო. ჭიდაობა ფიცხელი ყოფილა.



REUTERS ფაირფაქსიდან

REUTERS მონრეალიდან

გადარჩენილი

ახლა გაღიმებაც შეიძლება. ჰოკეი ვაუკაცთა სპორტია. „მონრეალ კანადიენსის“ მოთამაშე ტრენტ მაკლირი იმგვარი თავგანწირვით ჩაუწვა ფილადელფიელი კრის ტერიენის დაკრულ შაიბას, რომ კინალამ იმქვეყნად წავიდა. შაიბა ყელში მოხვდა მაკლირის და რომ არა ექიმთა ვაჟკაცობა, ხეირი არ იქნებოდა. ჰო, მთელი ამ მძიმე დღეების განმავლობაში, ტრენტს გვერდიდან არ მოსცილებია მეგობარი გოგო კლასსენი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პატანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა ღვავაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli